

სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ეპ ჯორჯია გენერაციის“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ეპ ჯორჯია გენერაციის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს-ი“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-7 და მე-17 შენიშვნებზე, რომელშიც აღწერილია დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიის გარიგებების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

სხვა ინფორმაცია ასახულია ჯგუფის 2021 წლის მმართველობით ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაცია გულისხმობს ჯგუფის 2021 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ჯგუფის 2021 წლის მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი, სავარაუდოდ, გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ შეეხება მმართველობით ანგარიშგებას და ამიტომ მასთან დაკავშირებით არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა გავეცნოთ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.



Building a better
working world

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ჯგუფი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ჩვენ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვ საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2022 წლის 28 მარტი



**Building a better
working world**

- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნიტ, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ჯგუფი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნიტ, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ჩვენ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვ საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2022 წლის 28 მარტი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	6
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. ეპ ჯორჯია გენერაცია და მისი საქმიანობა.....	10
2. მომზადების საფუძველი	12
3. ფუნქციონირებადი საწარმო	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	13
5. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა.....	27
6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	31
7. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	33
8. ძირითადი საშუალებები	36
9. გუდვილი.....	37
10. მარაგები.....	38
11. გაცემული სესხები	38
12. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.....	39
13. სხვა მიმდინარე აქტივები.....	40
14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	40
15. სააქციო კაპიტალი	41
16. ფინანსურ გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულება.....	41
17. ნასესხები სახსრები.....	41
18. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	42
19. ელექტროენერგიის გაყიდვა ადგილობრივ ბაზარზე	42
20. სხვა შემოსავალი	43
21. შესყიდული ენერგია	43
22. მომსახურების ხარჯები	43
23. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	44
24. ფინანსური შემოსავალი/(დანახარჯები), წმინდა.....	44
25. პირობითი ვალდებულებები	44
26. საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოთა გაერთიანებები	46
27. ფინანსური რისკის მართვა.....	46
28. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	50
29. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები	51

სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	319,924	234,679
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები		36,454	22,027
გუდვილი	9	68,960	68,960
სხვა არამატერიალური აქტივები		156	165
სულ გრძელვადიანი აქტივები		425,494	325,831
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	7,964	5,159
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	12	12,823	32,254
გაცემული სესხები	11	14,640	3,697
სხვა მიმდინარე აქტივები	13	1,840	816
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	6,423	1,877
სულ მიმდინარე აქტივები		43,690	43,803
სულ აქტივები		469,184	369,634
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი და რეზერვები			
სააქციო კაპიტალი	15	15,000	15,000
გაუნაწილებელი მოგება		358,835	277,581
სულ საკუთარი კაპიტალი		373,835	292,581
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსურ გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულება	16	1,082	1,822
ნასესხები სახსრები	17	–	29,882
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,082	31,704
მიმდინარე ვალდებულებები			
ანარიცხები		111	35
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	18	20,040	13,683
ნასესხები სახსრები	17	74,017	31,578
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		99	53
სულ მიმდინარე ვალდებულებები		94,267	45,349
სულ ვალდებულებები		95,349	77,053
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		469,184	369,634

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 28 მარტს.

მიხეილ ბოცვაძე
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

ქრისტინე წერეთელი
ფინანსური დირექტორი

2022 წლის 28 მარტი
თბილისი, საქართველო

2022 წლის 28 მარტი
თბილისი, საქართველო

10 - 52 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება


ათას ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	319,924	234,679
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები		36,454	22,027
გუდვილი	9	68,960	68,960
სხვა არამატერიალური აქტივები		156	165
სულ გრძელვადიანი აქტივები		425,494	325,831
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	7,964	5,159
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	12	12,823	32,254
გაცემული სესხები	11	14,640	3,697
სხვა მიმდინარე აქტივები	13	1,840	816
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	6,423	1,877
სულ მიმდინარე აქტივები		43,690	43,803
სულ აქტივები		469,184	369,634
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი და რეზერვები			
სააქციო კაპიტალი	15	15,000	15,000
გაუნაწილებელი მოგება		358,835	277,581
სულ საკუთარი კაპიტალი		373,835	292,581
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსურ გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულება	16	1,082	1,822
ნასესხები სახსრები	17	–	29,882
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,082	31,704
მიმდინარე ვალდებულებები			
ანარიცხები		111	35
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	18	20,040	13,683
ნასესხები სახსრები	17	74,017	31,578
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		99	53
სულ მიმდინარე ვალდებულებები		94,267	45,349
სულ ვალდებულებები		95,349	77,053
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		469,184	369,634

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 28 მარტს.



მიხეილ ბოცვაძე
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე



ქრისტინე წერეთელი
ფინანსური დირექტორი

2022 წლის 28 მარტი
თბილისი, საქართველო

2022 წლის 28 მარტი
თბილისი, საქართველო

10 - 52 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას ლარში

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი			
ელექტროენერგიის გაყიდვა ადგილობრივ ბაზარზე	19	120,547	79,406
სულ შემოსავალი		120,547	79,406
სხვა შემოსავალი	20	20,192	2,340
კონსულტაციის გასამრჯელო	7	(17,482)	(16,284)
შესყიდული ენერგია	21	(7,197)	–
მომსახურების ხარჯები	22	(6,661)	(4,730)
შრომითი დანახარჯები		(8,688)	(6,776)
გახარჯული მასალები		(175)	(158)
საგადასახადო ხარჯები		(4,042)	(2,743)
სხვა საოპერაციო ხარჯები	23	(4,710)	(2,325)
შემოსავალი ფინანსური შემოსავლის/დანახარჯის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე		91,784	48,730
ცვეთა და ამორტიზაცია		(11,154)	(8,151)
შემოსავალი ფინანსური შემოსავლის/დანახარჯისა და მოგების გადასახადის დარიცხვამდე		80,630	40,579
ფინანსური შემოსავალი	24	14,029	1,713
ფინანსური დანახარჯები	24	(4,030)	(15,737)
ფინანსური შემოსავალი/(დანახარჯები), წმინდა მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		9,999	(14,024)
მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		90,629	26,555
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის წმინდა მოგება		90,629	26,555
წლის სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის სრული შემოსავალი		90,629	26,555

სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას ლარში

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	15,000	251,026	266,026
წლის სრული შემოსავალი	–	26,555	26,555
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15,000	277,581	292,581
წლის სრული შემოსავალი	–	90,629	90,629
საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანება (26-ე შენიშვნა)	–	(9,375)	(9,375)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15,000	358,835	373,835

10- 52 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას ლარში

	შენიშვნა	2021	2020
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		90,629	26,555
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		11,154	8,151
ფინანსური შემოსავალი	24	(14,029)	(1,713)
ფინანსური დანახარჯები	24	4,030	15,737
შემოსულობა ჯარათის მარაგების გაყიდვიდან	20	(344)	(208)
ცვლილებები რეზერვებში	23	181	34
შემოსავალი დაზღვევიდან	20	(19,122)	(1,180)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ზედმეტობა	20	(231)	(147)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	23	3,000	-
სასაქონლო-მატერიალური მარაგების მოძველების ხარჯი	23	175	1,226
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		75,443	48,455
სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემცირება/(ზრდა)		1,195	(1,211)
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების შემცირება/(ზრდა)		20,580	(17,332)
სხვა მიმდინარე აქტივების (ზრდა)/შემცირება		(761)	1,874
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების (შემცირება)/ზრდა		(200)	15,740
ზრდა სხვა ვალდებულებებში		1,338	1
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		22,152	(928)
მიღებული პროცენტი		693	39
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		98,288	47,566
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
არამატერიალური აქტივების და ძირითადი საშუალებებისა შეძენა		(43,491)	(19,744)
გაცემული სესხები	11	(20,500)	-
დაფარული სესხები	11	9,701	-
შვილობილი კომპანიების შესყიდვა, მიღებული ფულადი სახსრების გამოკლებით	26	(28,849)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(83,139)	(19,744)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
აღებული სესხები	17	10,664	-
ნასესხები სახსრების დაფარვა	17	(18,417)	(28,580)
გადახდილი პროცენტი	17	(2,476)	(958)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(10,229)	(29,538)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		4,920	(1,716)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	14	1,877	3,382
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(374)	211
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	14	6,423	1,877

საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები (გაგრძელება)

მნიშვნელოვანი არაფულადი ოპერაციები:

- ▶ 2021 წელს მშობელი კომპანიისგან მიღებული ნასესხები სახსრებიდან (რომელიც შედგებოდა 16,905 ლარის ძირითადი თანხისგან და 2,327 ლარის დარიცხული პროცენტისგან) 19,232 ლარი გაიქვითა 19,232 ლარის სადაზღვევო შემოსავალთან, რომლისთვისაც მოთხოვნები არ იყო აღიარებული, და 116 ლარის საგადასახადო აქტივთან. (2020 წ.: 4,108 ნასესხები სახსრები; 1,836 ლარის ძირითადი თანხა და 2,272 ლარის დარიცხული პროცენტი).
- ▶ 2021 წელს საქართველოში მეგავატ სერვისის წარმომადგენლობისთვის გაცემული 3,700 ლარის სესხები (რომლებიც შედგებოდა 3,698 ლარის ძირითადი თანხისგან და 2 ლარის დარიცხული პროცენტისგან), შეთანხმების მიხედვით, დაემატა ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილ ავანსებს (2020 წ.: 15,145 ლარის გაცემული სესხები; 13,957 ლარის ძირითადი თანხა და 1,188 ლარის დარიცხული პროცენტი გაიქვითა ძირითად საშუალებებზე გადასახდელ თანხებთან).
- ▶ 2021 წელს შემდეგ არაფულადი მუხლები შევიდა ძირითადი საშუალებების შესყიდვაში: ძირითად საშუალებებში 14,427 ლარის გადახდილი ავანსის ათვისება, 7,823 ლარის ცვლილება ძირითად საშუალებებზე გადასახდელ თანხებში და 1,330 ლარის შესაბამისი დღე აისახა სხვა მიმდინარე ვალდებულებებში და ძირითად საშუალებებში 1,846 ლარის მარაგების გადატანაში. გარდა ამისა, 764 ლარის პროცენტი კაპიტალიზდა ძირითად საშუალებებზე.

10- 52 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ლარში

1. ეპ ჯორჯია გენერაცია და მისი საქმიანობა

სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“ (შემდგომში „კომპანია“) საქართველოში 2016 წლის 23 დეკემბერს დაფუძნებული და მოქმედი კომპანიაა. 2021 წლის 14 აპრილს კომპანიამ შეიცვალა სახელწოდება სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ და გახდა სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“. კომპანიის იურიდიული მისამართია ზურაბ ანჯაფარიძის ქ. 19, 0186 თბილისი, საქართველო. კომპანია შედის ჯგუფში, რომლის სათავე ოფისი მდებარეობს ჩეხეთის რესპუბლიკაში და რომელიც ფლობს საქართველოს, ბულგარეთის, თურქეთის, შვეიცარიისა და კოლუმბიის ენერგოსექტორებში მოქმედ მრავალ საწარმოს. საქართველოში ბაზრის ახალი რეგულაციების თანახმად (განცალკევების პროცესი), კომპანიამ და მისმა დობილმა კომპანიებმა საქართველოში განიცადა გარკვეული ჯგუფური რესტრუქტურისა 2021 წელს, რაც წარმოადგენდა საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო სუბიექტებთან ოპერაციებს და არ გამოუწვევია ცვლილება საბოლოო მესაკუთრეობაში. ამის შედეგად, ინფორმაცია კომპანიის მესაკუთრეების შესახებ 2020 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ასე გამოიყურება:

	2021	2020
ენერგო პრო ეი. ეს. (ჩეხეთის რესპუბლიკა)	50.1%	100%
სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგი“ (საქართველო)	49.9%	–
სულ	100%	100%

„ენერგო-პრო ეი. ეს.“ (მშობელი კომპანია) ფლობს სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგის“ 100%-ს.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელი კომპანიის აქციების 100%-ს ფლობს „DK Holding Investments s.r.o.“. ამ უკანასკნელის აქციების 100%-ის მფლობელია ბატონი იარომირ თესარი, რომელიც ამასთანავე კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა.

2021 წლის 29 დეკემბერს მშობელმა კომპანიამ და სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგმა“ („უშუალო მშობელი კომპანია“) გააფორმეს მართვის ხელშეკრულება, რის მიხედვითაც კომპანიაზე სრული კონტროლი გადაეცა უშუალო მშობელ კომპანიას.

2021 წლის 12 აპრილს კომპანიამ შპს „ჯიფაუერში“ შეიძინა 100%-იანი წილი 30,000 ლარის ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული გარიგების ფარგლებში.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს.

1. ეპ ჯორჯია გენერაცია და მისი საქმიანობა (გაგრძელება)

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა ელექტროენერგიის წარმოებაა. ჯგუფი ფლობს და ამუშავებს 15 საშუალო და მომცრო ზომის ჰიდროელექტროსადგურს, 489 მგვტ მთლიანი სიმძლავრით და ერთ აირტურბინულ თბოელექტროსადგურს 110 მგვტ მთლიანი სიმძლავრით. ქვემოთ, ცხრილში, წარმოდგენილია ინფორმაცია ჯგუფის ელექტროენერგიის წარმოების აქტივების შესახებ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ობიექტის სახელი	ტიპი	ექსპლუატაციაში მიღების თარიღი	დადგმული სიმძლავრე (მგვტ)	ტარიფი
ლაჯანური	რეზერვუარით	1960	113.7	რეგულირებული
ძევრულა	რეზერვუარით	1956	80.0	რეგულირებული
გუმათი 1	რეზერვუარით	1958	48.4	რეგულირებული
გუმათი 2	წყლის მოდინება	1956	22.8	რეგულირებული
რიონი	წყლის მოდინება	1933-34	54.0	რეგულირებული / რეგულირებულ / თავისუფალი ბაზარი
შაორი	რეზერვუარით	1955	40.3	2021 წლის 1 იანვრიდან
ზაჰესი	რეზერვუარით	1927-38	38.6	თავისუფალი ბაზარი
ჩითახევი	წყლის მოდინება	1949-51	21.0	თავისუფალი ბაზარი
აწი	წყლის მოდინება	1937	18.4	თავისუფალი ბაზარი
ორთაჭალა	წყლის მოდინება	1954	18.0	თავისუფალი ბაზარი
საცხენისი	წყლის მოდინება	1952	14.0	თავისუფალი ბაზარი
სიონი	რეზერვუარით	1964	9.0	თავისუფალი ბაზარი
ჩხოროწყუ	წყლის მოდინება	1967	6.0	თავისუფალი ბაზარი
მარტყოფი	წყლის მოდინება	1952	3.9	თავისუფალი ბაზარი
კინკიშა	წყლის მოდინება	1954	0.9	თავისუფალი ბაზარი
ჯიფაუერი	თბოელექტრო- სადგური	2006	110.0	რეგულირებული
სულ	მითითებული არ არის		599.0	მითითებული არ არის

2021 წლის განმავლობაში ოთხი ჰესი (რიონი, გუმათი, ლაჯანური, ძევრულა) იყო რეგულირებული. შაორჰესი არ არის რეგულირებული 2021 წლის 1 იანვრიდან. რეგულირებული ჰესების ტარიფებს ადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია („სემეკი“). 2021 წლის 1 ივლისიდან რეგულირებული ჰესების მიერ წარმოებული ელექტროენერგია იყიდება საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოზე, სს „ეპ ჯორჯია მიწოდებაზე“, ხოლო დერეგულირებული ჰესების მიერ გამოშვებული ელექტროენერგია იყიდება საქართველოს ელექტროენერგიის ბაზარზე არსებულ სხვა კვალიფიციურ საწარმოებზე.

შპს „ჯიფაუერის“ ძირითადი საქმიანობაა გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფა და ელექტროენერგიის წარმოება. მისი მთავარი საოპერაციო აქტივებია ოთხი აირტურბინა 110 მეგავატი დადგმული სიმძლავრით და ელექტროენერგიის წარმოებისთვის საჭირო სხვა ობიექტები (აირტურბინული ელექტროსადგური). გარანტირებული სიმძლავრე უზრუნველყოფს საქართველოს ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირებას. გარანტირებული სიმძლავრის მზადყოფნის პერიოდსა და მინიმალური გარანტირებული სიმძლავრის ოდენობას არეგულირებს საქართველოს მთავრობა, ხოლო ტარიფებს აწესებს სემეკი.

შპს „ჯიფაუერის“ იურიდიული მისამართია ზურაბ ანჯაფარიძის ქ. 19, 0186 თბილისი, საქართველო, ხოლო ფაქტობრივი მისამართი - აღმაშენებლის ქ. 28, 1300 გარდაბანი, საქართველო.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა აქციონერების მიერ. აქციონერთა კრება, ჩვეულებრივ, ტარდება საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის პირველ ნახევარში. აქციონერებს შეუძლიათ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანა გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველად გამოყენებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდი.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამ არ არის მითითებული.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული ვითარების გავლენა ჯგუფის საქმიანობაზე.

ხელმძღვანელობა მიზანშეწონილად მიიჩნევს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების ადეკვატურობის შეფასებისას ჯგუფი მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტორებს:

- ▶ ჯგუფის წმინდა მიმდინარე დეფიციტი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის 50,577 ლარს შეადგენს (2020 წლის 31 დეკემბერი: 1,546 ლარის წმინდა მიმდინარე დეფიციტი). წმინდა მიმდინარე დეფიციტი ძირითადად გამოწვეულია მშობელი კომპანიისგან ნასესხები სახსრებით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელი კომპანიისგან ნასესხები სახსრების მიმდინარე ნაწილი იყო 66,372 ლარი (მე-17 შენიშვნა). მშობელმა კომპანიამ დაადასტურა, რომ აქვს ჯგუფის მხარდაჭერის შესაძლებლობა და სურვილი, რაც გამოიხატება ჯგუფისთვის საკმარისი ფულადი სახსრების გამოყოფით, რათა მან შეძლოს საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გაგრძელება ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღიდან თორმეტი თვის განმავლობაში. ამასთან, მშობელმა კომპანიამ დაადასტურა, რომ არ აპირებს ჯგუფისგან სესხის ძირითადი თანხის დაფარვისა და დარიცხული პროცენტის გადახდის მოთხოვნას, თუკი ეს დააზარალებს ჯგუფის ფინანსურ სტაბილურობას.
- ▶ ჯგუფი ნაღდი ფულის დეფიციტს უმკლავდება მომწოდებლების წინაშე თავისი კრედიტორული დავალიანების თაობაზე ადგილობრივ კომერციულ ბანკებთან ფაქტორინგული ხელშეკრულებების გაფორმებით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესყიდული დავალიანების ნაშთი 5,890 ლარს გაუტოლდა (2020 წლის 31 დეკემბერი: 9,393 ლარი). ბანკებთან ურთიერთობის გამოცდილებიდან გამომდინარე, ფულადი სახსრების დეფიციტის შემთხვევაში, ჯგუფი არ მოელის სირთულეს სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დაფარვის თარიღის გადავადებით 2022 წელს.
- ▶ 2020 წლის 17 დეკემბერს სემეკმა რეგულირებული ჰესებისთვის დააწესა წარმოების ახალი ტარიფი. გაზრდილი ტარიფები ძალაში შევიდა 2021 წლის 1 იანვარს და იმოქმედებს 2024 წლის 1 იანვრამდე. გამოწვეულია რიონჰესი, რომელიც 2022 წლის 1 მაისიდან დერეგულირებული გახდება. ახალი საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, შაორჰესი დერეგულირებული 2021 წლის 1 იანვრიდან გახდა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ დერეგულირებული ჰესების ტარიფები განისაზღვრება თავისუფალ ბაზარზე მიწოდება-მოთხოვნის შესაბამისად და, სავარაუდოდ, რეგულირებულ ტარიფებზე უფრო მაღალი იქნება. შესაბამისად, ეს დადებითად აისახება ჯგუფის ფინანსურ მაჩვენებლებზე.

ხელმძღვანელობის აზრით, ამ ინიციატივების ერთობლიობა ჯგუფს უზრუნველყოფს საკმარისი ლიკვიდურობით, რომ საქმიანობა განაგრძოს მომავალში გააგრძელოს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

(ა) კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანია იღებს ან აქვს უფლება მიიღოს, ცვლადი უკუგება ინვესტიციის ობიექტისგან და აქვს უნარი, გავლენა მოახდინოს უკუგებაზე ინვესტიციის ობიექტზე ზემოქმედებით. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ▶ აქვს ინვესტიციის ობიექტზე ზეგავლენა (ანუ ამჟამინდელი უფლებები მას საშუალებას აძლევს, ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა მართოს);
- ▶ იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- ▶ შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების შესაბამისად, თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ყველა რელევანტურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ▶ ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან სახელშეკრულებო გარიგება/გარიგებები;
- ▶ სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ▶ ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები.

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის აქციონერებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არამაკონტროლებელი წილის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური აქტივი და ვალდებულება, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად ელიმინირდება.

შვილობილი საწარმოს საკუთარ კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება.

თუ ჯგუფი დაკარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი წყვეტს შესაბამისი აქტივების (გუდვილის ჩათვლით), ვალდებულებების, არასაკონტროლო პაკეტის და საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო შედეგად მიღებულ შემოსულობას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოთა გაერთიანება

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოთა გაერთიანებები აღირიცხება წილების გაერთიანების მეთოდით, რომლის დროსაც არ ხდება საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანებამდე პერიოდების გადაანგარიშება.

შეძენილი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები ეყრდნობა მაკონტროლებელი მხარის მიერ აღიარებულ საბალანსო ღირებულებებს, ანუ იმ ღირებულებებს, რომლებიც გაცხადებულია წინა მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში და არ მომხდარა კორექტირებები გაერთიანების თარიღისთვის მათი სამართლიანი ღირებულების ასახვისთვის.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ა) კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

სხვაობა გადაცემულ ანაზღაურებასა და შეძენილ წმინდა აქტივებს შორის აღირიცხება, როგორც კაპიტალის კორექტირება გაუნაწილებელ მოგებაში ასახვით. საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანების შედეგად გუდილის აღიარება არ ხდება. მოგება-ზარალის ანგარიშგება ასახავს გაერთიანებული მხარეების შედეგებს გაერთიანების თარიღის შემდეგ.

ჯგუფი საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანებას არ აღრიცხავს შეძენის მეთოდით ფასს 3-ის „საწარმოთა გაერთიანება“ შესაბამისად.

(ბ) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) ფინანსური აქტივები

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

პირველადი აღიარებისას ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია მათი თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნესმოდელზე, რომლითაც ის ამ ფინანსურ აქტივებს მართავს. ჯგუფი ფინანსურ აქტივს თავდაპირველად აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რასაც, იმ ფინანსური აქტივის შემთხვევაში, რომელიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ემატება გარიგების დანახარჯები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკული მიზანშეწონილობა გამოიყენა, ფასდება გარიგების ფასით ფასს 15-ის „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ შესაბამისად.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირება და სრულდება ინსტრუმენტის დონეზე.

ჯგუფის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების შედეგად. ჯგუფის ბიზნესმოდელის შეფასება მოხდა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ თავდაპირველად გამოყენების თარიღის, 2018 წლის 1 იანვრის, მდგომარეობით. ჯგუფის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და ოპერაცია მიმართულია ელექტრონერგიის რეალიზაციით სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისკენ. ეს არის ჯგუფის მთავარი მიზანი და ყოველდღიური საქმიანობა. წარსულში ჯგუფს არასდროს გაუყიდა თავისი ფინანსური ინსტრუმენტები. ყველა ფინანსურ აქტივს ის ფლობს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და მათ კლასიფიკაციას ახდენს პირველ ბიზნესმოდელში – ფლობა ფულადი ნაკადების მისაღებად (H2C).

4. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(i) ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები);
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სავალო ინსტრუმენტები);
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- ▶ მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა (სავალო ინსტრუმენტები) ყველაზე რელევანტურია ჯგუფისთვის.

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილზე დარიცხული პროცენტის გადახდას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც ჯგუფს ეკუთვნის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არის ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და მოიცავს ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს, სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას და გაცემულ სესხებს.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან ამოღება) ძირითადად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

4. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(i) ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, ჯგუფი აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ჯგუფის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის ამორტიზებული ღირებულებით აღიარებს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომელთა მიღებასაც ჯგუფი მოელის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

იმ კრედიტების შემთხვევაში, სავაჭრო დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხების გარდა, რომელთა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის რეზერვები იქმნება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევით განპირობებული საკრედიტო ზარალისთვის (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). ისეთი კრედიტების შემთხვევაში, რომელთა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რეზერვის შექმნა სავალდებულოა კრედიტის დარჩენილი ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალისთვის, იმისდა მიუხედავად, თუ როდის დგება დეფოლტი (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). ჯგუფი 12-თვიანი საკრედიტო ზარალის რეზერვს ქმნის ფულადი სახსრებისა და საბანკო ნაშთებისთვის. ჯგუფი საკრედიტო რისკს მნიშვნელოვნად გაზრდილად მაშინ მიიჩნევს, როდესაც ხელშეკრულების მიხედვით გადახდები 30 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხებისთვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფმა შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდა 90 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ჯგუფმა შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ ჯგუფი სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე მას შემდეგ, რაც აქტივის ამოღებისთვის საჭირო ყველა პროცედურა დასრულდება, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს და ზარალის ოდენობა განსაზღვრულია. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება კრედიტდება გაუფასურების ზარალის ანგარიშზე წლის მოგებაში ან ზარალში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(ii) ფინანსური ვალდებულებები

პირველადი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ შესაბამისად ასახულია მოგებასა და ზარალში და შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით ფინანსური ვალდებულებების, სესხების და გადასახდელი ანგარიშების სახით ან ასახულია, როგორც წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს. ჯგუფი თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემთხვევაში, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით. ამას ემატება გარიგებისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი დანახარჯები.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც სესხები და გადასახდელი ანგარიშები, მოიცავს ნასესხებ სახსრებს (მე-17 შენიშვნა) და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას (მე-18 შენიშვნა).

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნით, ფინანსური ვალდებულებები ორ კატეგორიად იყოფა:

- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- ▶ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები (სესხები და გადასახდელი ანგარიშები).

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები, მოგებასა და ზარალში ასახვით

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მოიცავს სავაჭროდ განკუთვნილ ფინანსურ ვალდებულებებს და იმ ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავაჭროდ განკუთვნილის კატეგორიას ფინანსური ვალდებულებები იმ შემთხვევაში მიეკუთვნება, თუ ისინი გაწეულია უახლოეს მომავალში გამოსყიდვისთვის. ამ კატეგორიაში ასევე შედის ჯგუფის წარმოებული ფინანსურ ინსტრუმენტები, რომლებიც არ მიეკუთვნება ჰეჯირების ინსტრუმენტებს ფასს 9-ით განსაზღვრულ ჰეჯირების ურთიერთობებში. განცალკევებული ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები ასევე კლასიფიცირდება, როგორც სავაჭროდ განკუთვნილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი კლასიფიცირებულია ჰეჯირების ეფექტურ ინსტრუმენტებად.

სავაჭროდ განკუთვნილი ვალდებულებებიდან მიღებული შემოსულობა თუ ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, კლასიფიცირდება აღიარების თავდაპირველი თარიღით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კმაყოფილება ფასს 9-ის კრიტერიუმები. ჯგუფს არ აღურიცხავს სასესხო ვალდებულებები, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სესხები და გადასახდელი ანგარიშები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხებისა და მისაღები ანგარიშების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგებაში ან ზარალში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფასდება შემდეგ ორ თანხას შორის უდიდესით: (i) ზარალის რეზერვის ოდენობა და (ii) თავდაპირველად აღიარებული თანხა, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, აკლდება ფასს 15-ის „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ პრინციპების შესაბამისად აღიარებული შემოსავლის კუმულაციური თანხა.

აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხორციელდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს სამართლებრივი უფლება თანხების ჩათვლისა და განზრახული აქვს შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა ან ერთდროულად აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

(გ) სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე, ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე სახარბიელო ბაზარი ჯგუფის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. გარდა ამისა, ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 28-ე შენიშვნაში. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, იმ ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ჯგუფმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

(დ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურებისთვის შექმნილი რეზერვების გამოკლებით, სადაც საჭიროა. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება უცვლელი, ჯგუფი ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო გამოყენების ვადით და შესაბამისად არიცხავს ცვეთას. წვრილმანი შეკეთებისა და ყოველდღიური ტექნიკური მომსახურების დანახარჯები გაწვევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

(ii) ცვეთა

მიწისა და დაუმთავრებელი მშენებლობის ცვეთა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა მუხლების ცვეთა გამოანგარიშდება დარიცხვის წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი ხარჯის განაწილება ნარჩენ ღირებულებაზე მათი სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში
მიწა და შენობა-ნაგებობები	20-100
ტექნიკური აღჭურვილობა და დანადგარები	20-35
სხვა აღჭურვილობა, ავეჯი და მოწყობილობები	3-20
სხვა ძირითადი საშუალებები	5-25

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა ამ აქტივის გაყიდვით, რასაც აკლდება გაყიდვის სავარაუდო ხარჯები, იმ შემთხვევაში, თუ აქტივები უკვე იმ სიძველისა და იმ მდგომარეობაშია, როგორც ეს მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირდება.

(iii) აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, რომლის განმავლობაშიც შეწყდა აქტივის აღიარება.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

(ე) „იჯარა“

პირველადი აღიარება და შეფასება

ხელშეკრულების გაფორმების დროს ჯგუფი აფასებს, ის წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას. ეს შეფასება გულისხმობს განსჯას იმის თაობაზე, დამოკიდებულია თუ არა ის კონკრეტულ აქტივებზე, ჯგუფი იღებს თუ არა არსებითად სრულ ეკონომიკურ სარგებელს აქტივით სარგებლობისგან და აქვს თუ არა ჯგუფს უფლება, წარმართოს აქტივის გამოყენება. ჯგუფმა ასევე არჩია ფასს 16-ით „იჯარა“ გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომის გამოყენება მაქსიმუმ 12-თვიანი ვადის მქონე მოკლევადიანი იჯარებისთვის და ისეთი იჯარებისთვის, რომელთა საბაზისო (საიჯარო) აქტივი დაბალი ღირებულებისაა. ჯგუფი მოკლევადიან და დაბალი ღირებულების მქონე იჯარებს გამარტივებული მეთოდით აღრიცხავს.

ასეთ ხელშეკრულებებზე საიჯარო გადახდების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი უკავშირდება, იჯარის ვადაზე წრფივი დარიცხვით.

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, იჯარის ვადა განისაზღვრება, როგორც იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადას დამატებული ხელშეკრულების ვადის შესაძლო გაგრძელება. თუ იჯარის ხელშეკრულებას განუსაზღვრელი ვადა აქვს, იჯარის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების შესაძლო გაგრძელების ვადით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) „იჯარა“ (გაგრძელება)

ჯგუფი აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას აღიარებს იჯარის ვადის დაწყების თარიღით. აქტივის გამოყენების უფლების პირველადი შეფასება ხდება თავდაპირველი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- ▶ საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასების ღირებულება;
- ▶ იჯარის დაწყების თარიღით ან ამ თარიღამდე (იჯარის წინასწარ გადახდა) შესრულებულ საიჯარო გადახდებს გამოკლებული მეიჯარისგან მიღებული ყოველგვარი წამახალისებელი გადახდები;
- ▶ მოიჯარის სავარაუდო დანახარჯები, დაკავშირებული საიჯარო აქტივის დემონტაჟთან, გადატანასა და აღდგენასთან, საიჯარო ხელშეკრულების თანახმად.

აქტივის გამოყენების უფლებას შემდგომში ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე ან საიჯარო ვადის ბოლო თარიღამდე, რომელიც უფრო ადრე დადგება. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა წრფივი მეთოდით ერიცხება იჯარის ან სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადებიდან უფრო მოკლე ვადის განმავლობაში. აქტივის გამოყენების უფლება ასევე ექვემდებარება გაუფასურებას.

იჯარის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც გამოითვლება, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი თანხების დღევანდელი ღირებულება. საიჯარო გადასახადები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), შემცირებულ მისაღები საიჯარო შეღავათებით, ცვლად საიჯარო გადასახადებს, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით. საიჯარო გადახდები ასევე შედგება შესყიდვის ოფციონის გამოსაყენებელი ფასისგან, რომლის ჯგუფის მიერ გამოყენების გონივრული რწმენა არსებობს, და იჯარის შეწყვეტისთვის გადახდილი ჯარიმებისგან, თუ იჯარის ვადა ასახავს ჯგუფის მიერ იჯარის შეწყვეტის ოფციონის გამოყენებას. ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის მიბმული ინდექსზე ან განაკვეთზე, აღიარებულია იმ პერიოდის ხარჯად (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი გაიწევა მარაგების შესაქმნელად), რომლის განმავლობაშიც დგება გადახდის გამომწვევი მოვლენა ან პირობა.

საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად ჯგუფი იყენებს თავის ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, რადგან საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის.

შემდგომი შეფასება

იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა იზრდება, რათა ასახოს პროცენტის ზრდა და მცირდება იჯარის გადახდის შესაბამისად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება იჯარის ვადის მოდიფიკაცია ან ცვლილება, თუ იცვლება საიჯარო გადახდები (მაგ. ცვლილება სამომავლო გადახდებში მათი ოდენობის განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო), ან ცვლილება შედის საბაზისო აქტივის შესყიდვის ოფციონის შეფასებაში.

პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის მოდელის გამოყენებისას, ჯგუფი აფასებს აქტივის გამოყენების უფლებას თავდაპირველი თვითღირებულებით, მინუს დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი, რომელიც კორექტირდება საიჯარო ვალდებულების ხელახლა შესაფასებლად. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის ათვლის თარიღიდან საბაზისო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვამდე.

ჯგუფი ხარჯებს საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის სახით აღიარებს ფინანსური ხარჯებში, რომელსაც ასახავს მოგებაში ან ზარალში.

4. მნიშვნელოვანი საარიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) გუდვილი

გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ჯგუფი ამოწმებს გუდვილის გაუფასურებას სულ მცირე ყოველწლიურად და ყოველთვის, როცა არსებობს გუდვილი გაუფასურების შესაძლო ნიშნები. მთლიანი გუდვილი ნაწილდება ჯგუფზე, როგორც ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთ ერთეულზე, რომელიც, სავარაუდოდ, შესაბამისი საწარმოთა გაერთიანების შედეგად მიღებული სინერგიიდან სარგებელს მიიღებს.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შიგნით ისეთი ოპერაციის შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი, რომელზეც გუდვილი იყო განაწილებული, შეიცავს შეწყვეტილ ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილის საბალანსო ღირებულებასაც, და ფასდება შეწყვეტილი ოპერაციისა და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დარჩენილი ნაწილის ხვედრითი წილების საფუძველზე.

(ზ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ჯგუფი განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი და განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოიღება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ამ გამოთვლების დასაბუთება ხდება შეფასების კოეფიციენტებით ან სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

ჯგუფი გაუფასურებას დეტალური ბიუჯეტებისა და ფინანსური პროგნოზების საფუძველზე გამოითვლის. ეს ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები, ჩვეულებრივ, ოთხწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება სამი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების, მათ შორის სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

ისეთი აქტივების შემთხვევაში, რომლებშიც გუდვილი არ შედის, ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი შეიძლება აღმოფხვრილი ან შემცირებული იყოს. მსგავსი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს აქტივის ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემოზრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) გადასახადები

(i) მოგებიდან გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც ანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრებას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ასეთი ოპერაციების დაბეგრვა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს, აღირიცხება საოპერაციო გადასახადების მსგავსად და აისახება, როგორც „სხვა გადასახადები“ მოგება-ზარალის ანგარიშგების „სხვა საოპერაციო ხარჯის“ მუხლში.

(ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებითი ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- ▶ დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

(iii) განუსაზღვრელი საგადასახადო სტატუსი

ჯგუფის განუსაზღვრელ საგადასახადო სტატუსს ხელმძღვანელობა ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებზეც ხელმძღვანელობის აზრით, უფრო არის მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადების დაკისრება, თუ ამ პოზიციებს საგადასახადო ორგანოები ექვემდებარება დააყენებენ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობების ინტერპრეტაციებს, რომლებიც ამოქმედდა ან ფაქტობრივად შევიდა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, ასევე ამ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოს ან სხვა უწყების ნებისმიერ გადაწყვეტილებას. ვალდებულებები ჯარიმების, პროცენტის და გადასახადების სახით, რომლებიც არ არის დაკავშირებული მიღებულ შემოსავალთან, აღიარებულია იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ხელმძღვანელობა აფასებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ამ ვალდებულებების დაფარვისთვის საჭირო დანახარჯებს.

4. მნიშვნელოვანი საღირსეხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ი) მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება თითოეული პარტიისთვის ინდივიდუალურად გამოითვლება. ღირებულება მოიცავს უშუალოდ მასალებისა და, შესაბამის შემთხვევებში, შრომის პირდაპირ დანახარჯებს და იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა მარაგების მათ ამჟამინდელ მდებარეობასა და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება დასრულების და რეალიზაციის ხარჯები.

(კ) გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგაა მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, პირველადი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი ჯგუფი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, როდესაც მიიღება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არსებობს მინიშნება, რომ შესაძლოა ვერ იქნეს მიღებული გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი ან მომსახურება, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მიმდინარე წლის მოგებაში ან ზარალში. გადახდილი ავანსები შესულია სხვა მიმდინარე აქტივებში და ძირითად საშუალებებში გადახდილ ავანსებში.

(ლ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ბანკებში განთავსებულ მოთხოვნამდე ანაბრებს და სხვა მოკლევადიან მაღალიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი ვადა, მაქსიმუმ, სამი თვეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

(მ) საკუთარი კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია საკუთარ კაპიტალად. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული ზღვრული ხარჯები კაპიტალში ნაჩვენებია, როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან, გადასახადის გათვალისწინებით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებითი შენატანები კაპიტალში.

დივიდენდები ტარდება, როგორც ვალდებულება და იქვითება საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც მათი გამოცხადება და დამტკიცება ხდება. ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია „ანგარიშგების შემდგომი მოვლენების“ თავში.

4. მნიშვნელოვანი საარღივხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ნ) ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები პირდაპირ არის მიკუთვნებადი ისეთი აქტივების შეძენის, მშენებლობისა თუ წარმოებისთვის, რომლებსაც სჭირდება არსებითი პერიოდი (ერთ წელზე მეტი) დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად ვარგის მდგომარეობაში მოსაყვანად (განსაკუთრებული აქტივები), და კაპიტალიზდება, როგორც ხსენებული აქტივების თვითღირებულების ნაწილი.

კაპიტალიზაციის დაწყების თარიღი არის თარიღი, როდესაც (ა) ჯგუფს წარმოეშობა ხარჯები განსაკუთრებულ აქტივებთან დაკავშირებით; (ბ) ჯგუფს წარმოეშობა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები; და (გ) ჯგუფი ახორციელებს ქმედებებს, რომლებიც აუცილებელია აქტივის სარგებლობის ან გასაყიდ მდგომარეობაში მოსაყვანად.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია გრძელდება აქტივების სარგებლობის ან გასაყიდ მდგომარეობაში არსებითად მოყვანის თარიღამდე.

ჯგუფი ახდენს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაციას, რომლების თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ არ განახორციელებდა კაპიტალურ დანახარჯებს განსაკუთრებულ აქტივებზე. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული კაპიტალიზებული დანახარჯები გამოითვლება ჯგუფის საშუალო დაფინანსების ღირებულების შესაბამისად (საშუალო შეწონილი საპროცენტო ღირებულება ემატება განსაკუთრებულ აქტივებზე გაწეულ ხარჯებს), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნასესხები სახსრები აღებულია კონკრეტულად განსაკუთრებული აქტივების მოპოვების მიზნით. ასეთ შემთხვევაში, კაპიტალიზდება სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ფაქტობრივი დანახარჯები, რომელსაც აკლდება ამ ნასესხები სახსრების დროებით ინვესტირების შედეგად წარმოშობილი საინვესტიციო შემოსავალი.

ჯგუფმა დროებით უნდა შეაჩეროს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაციის პროცესი ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში, რომელშიც ის დროებით შეაჩერებს განსაკუთრებული აქტივის აქტიურ მშენებლობას

(ო) ვალდებულებების და ხარჯების რეზერვი

ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები, რომელთა მთავარი მახასიათებელია დაუზუსტებელი დრო და თანხის ოდენობა. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა. თუ ჯგუფი მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო კონტრაქტის საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ყოველგვარი ანაზღაურების გამოკლებით.

თუ ფულის დროითი ღირებულების ეფექტი არსებითია, რეზერვების შეფასება ხდება ვალდებულების დასაფარად გასაწევი მოსალოდნელი დანახარჯების დღევანდელი ღირებულებით, იმ დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. რეზერვების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია საპროცენტო დანახარჯების ნაწილში.

(პ) უცხოური ვალუტა

ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც საწარმო საქმიანობს. ჯგუფის სამუშაო ვალუტა და მისი წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ქართული ლარი („ლარი“).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება თითოეული სამეურნეო სუბიექტის სამუშაო ვალუტაში ანგარიშგების შესაბამისი პერიოდის ბოლოსთვის საქართველოს ეროვნული ზანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა და ზარალი გარიგებების ანგარიშსწორებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაში გადაყვანის შედეგად სებ-ის წლის ბოლოსთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აისახება მოგებაში ან ზარალში, როგორც

4. მნიშვნელოვანი საღირსეზო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(პ) უცხოური ვალუტა (გაგრძელება)

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი ან ხარჯი. წლის ბოლოსთვის არსებული კურსით გადაყვანა არ ეხება არაფულად მუხლებს, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კაპიტალის ინვესტიციების ჩათვლით, გადაიყვანება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი არაფულად მუხლებზე, რომელიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, აისახება სამართლიანი ღირებულების შემოსულობაში ან ზარალში.

(ჟ) შემოსავლის აღიარება

მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის თუ მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით.

ჯგუფი სახელშეკრულებო მოვალეობას ყველა შემდეგი შეთავაზებისთვის აღიარებს დროის გარკვეულ მომენტში, რადგან თითოეულ შეთავაზებაში მხოლოდ ერთი სახელშეკრულებო მოვალეობაა:

- ▶ ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები, წარმოებული ელექტროენერგიის რეალიზაციისა და ელექტროენერგიის გატარების ჩათვლით, აღიარებულია დროის გარკვეულ მომენტში, როგორც აბონენტის მრიცხველის მიერ გაზომილი რაოდენობისა და სემეკის მიერ რეგულირებული ჰესებისთვის დადგენილი ან, არარეგულირებული ჰესების შემთხვევაში, მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე შეთანხმებული ტარიფების ნამრავლი.

(რ) სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალი აისახება დღ-ის და დისკონტების გარეშე. სხვა შემოსავალში შედის ყველა სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც არ უკავშირდება ელექტროენერგიის გაყიდვას, მაგალითად, სასაქონლო-მატერიალური მარაგების და ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციით გამოვლენილი ზედმეტობა, შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან, იჯარიდან, მესამე მხარეებისგან მიღებული აქტივები და შემოსულობა ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან, შემოსავალი დაზღვევიდან და სხვა. სადაზღვევო შემოსავლის აღიარება ხდება სადაზღვევო კომპანიისგან ზიანის ანაზღაურების დასტურის მოპოვების შემდეგ, დროის გარკვეულ მომენტში. გასვლების შედეგად მიღებული შემოსულობის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც აქტივზე კონტროლი და მასთან დაკავშირებული რისკები გადაეცემა მომხმარებელს. საიჯარო შემოსავლის აღიარება ხდება დროის იმ მომენტში, როდესაც მომხმარებელს მიეწოდება მომსახურება, რადგან ამ დროს მომხმარებელი სარგებლობს კომპანიის მომსახურებით. შემოსავალი მესამე მხარეებისგან მიღებული აქტივებისგან, მარაგების და ძირითადი საშუალებების ნამეტი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც აქტივები გადაიციემა ან ნამეტი განისაზღვრება.

(ს) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და არაფულადი სარგებელი ირიცხება იმ წელს, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია ჯგუფის თანამშრომლების მიერ. 2019 წლის 1 იანვრიდან ჯგუფს აქვს სამართლებრივი ვალდებულება, რომ თანამშრომელთა დარიცხული ხელფასებიდან და სხვა გასამრჯელოებიდან 2% საპენსიო ფონდში გადაიხადოს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ტ) მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაცია

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

5. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“

2017 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ფასს 17), ამომწურავი ახალი სააღრიცხვო სტანდარტი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც მოიცავს აღიარების და შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გახსნის საკითხებს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 17 ჩაანაცვლებს ფასს 4-ს „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ფასს 4) რომელიც გამოიცა 2005 წელს. ფასს 17 ეხება ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებას (მაგ. სიცოცხლის, არასიცოცხლის, პირდაპირი დაზღვევა და გადაზღვევა), განურჩევლად იმისა, თუ რა ტიპი საწარმო აფორმებს მათ, ასევე გარკვეულ გარანტიებს და ფინანსურ ინსტრუმენტებს დისკრეციული მონაწილეობის პარამეტრებით. მის მოქმედების არეალში არ შედის გარკვეული გამოწვევები. ფასს 17-ის ზოგადი მიზანია სააღრიცხვო მოდელის შექმნა სადაზღვევო ხელშეკრულებები, რომელიც უფრო სასარგებლო და თანმიმდევრული იქნება მზღვევებისთვის. ფასს 4-ის მოთხოვნებისგან განსხვავებით, რომლებისგანაც მანამდე მოქმედი ადგილობრივი სააღრიცხვო პოლიტიკები მეტწილად გათავისუფლებულია, ფასს 17 წარმოადგენს კომპლექსურ მოდელს სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის ყველა შესაბამის ასპექტს მოიცავს. ფასს 17 წარმოადგენს ზოგად მოდელს, რომელსაც ახლავს:

- ▶ ისეთი ხელშეკრულებების სპეციფიკის გათვალისწინება, რომლებსაც აქვს პირდაპირი მონაწილეობის მახასიათებლები (ცვალებადი გასამრჯელოს მიდგომა);
- ▶ გამარტივებული მიდგომა (პრემიების განაწილების მიდგომა), ძირითადად, მოკლევადიანი ხელშეკრულებებისთვის.

5. სტანდარტები, რომლებიც გამოიყენება, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გაგრძელება)

ფასს 17 ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის და სავალდებულოა შედარებადი რიცხოვრივი მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც, თუ საწარმო ასევე გამოიყენებს ფასს 9-სა და ფასს 15-ს, ფასს 17-ის პირველად გამოყენებამდე ან გამოყენების დღეს. ეს სტანდარტი ჯგუფს არ ეხება.

ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

2020 წლის 1 იანვარს ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ 69-76 მუხლებში, რომლებიც აკონკრეტებს ვალდებულებების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიცირების წესებს. ცვლილებები განმარტავს:

- ▶ რა იგულისხმება ანგარიშსწორების გადავადების უფლებაში;
- ▶ რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- ▶ რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, გამოიყენებს თუ არა საწარმო გადავადების უფლებას;
- ▶ რომ თუ კონვერტირებად ვალდებულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი თავად წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტს, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ იმოქმედებს ვალდებულების პირობები მის კლასიფიკაციაზე.

ცვლილებები ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და მათი გამოყენება უნდა მოხდეს რეტროსპექტიულად. ჯგუფი ამ ეტაპზე აფასებს ცვლილებების ეფექტს მის მიმდინარე პრაქტიკაზე და იმას, არსებული სესხები საჭიროებს თუ არა რესტრუქტურირაციას.

„კონცეპტუალური საფუძვლების მითითება“ – შესწორებები ფასს-ში

2020 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა შესწორებები ფასს 3-ში „საწარმოთა გაერთიანება“ – „კონცეპტუალური საფუძვლების მითითება“. შესწორებების მიზანია „ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საფუძვლების“, რომელიც 1989 წელს გამოიცა, მითითების ჩანაცვლება 2018 წლის მარტში გამოშვებული „ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების“ მითითებით, მის მოთხოვნებში მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე.

საბჭომ ასევე დაამატა გამონაკლისი ფასს 3-ის აღიარების პრინციპიდან, რათა თავიდან აერიდებინა ვალდებულებებთან ან პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებული პოტენციური „მეორე დღის“ შემოსულობის ან ზარალის საკითხი, რომელიც ცალ-ცალკე მოექცეოდა ბასს 37-ის ან ფასიკ 21-ის „მოსაკრებლები“ მოქმედების არეალში.

ამავდროულად, საბჭომ გადაწყვიტა განემარტა ფასს 3-ში არსებული მითითება პირობითი აქტივების შესახებ, რაზეც არ იმოქმედებდა „ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საფუძვლების“ მითითების ჩანაცვლება.

ცვლილებები ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და მათი გამოყენება უნდა მოხდეს პერსპექტიულად.

ცვლილებებს, სავარაუდოდ, არსებითი გავლენა არ ექნება ჯგუფზე.

ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე – ცვლილებები ბასს 16-ში

2020 წლის მაისში ბასსს-მ გამოუშვა „ძირითადი საშუალებები – შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“. ამ შესწორების მიხედვით, საწარმოებს ეკრძალებათ ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულებიდან გამოქვითონ ნებისმიერი შემოსავალი ერთეულების გაყიდვიდან, რომელიც წარმოიქმნება ამ აქტივის ისეთ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად, რომელიც საჭიროა ხელმძღვანელობისთვის სასურველი მიზნით მის გამოსაყენებლად. ამის ნაცვლად, საწარმო ასეთი ერთეულების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს და ამ ერთეულების წარმოების თვითღირებულებას აღიარებს შემოსავალში ან ზარალში.

შესწორება ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და რეტროსპექტიულად ვრცელდება ძირითადი საშუალებების იმ ერთეულებზე, რომლებიც ექსპლუატაციისთვის მზად

5. სტანდარტები, რომლებიც გამოიყენა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

არის საწარმოს მიერ ამ შესწორების პირველად გამოყენებისას წარმოდგენილი უადრესი პერიოდის საწყისი ან მის შემდგომი თარიღიდან.

ცვლილებებს, სავარაუდოდ, არსებითი გავლენა არ ექნება ჯგუფზე.

„წამგებიანი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულების ხარჯები“ – შესწორებები ბასს (IAS) 37-ში

2020 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 37-ში, რათა დაეკონკრეტებინა რომელი დანახარჯები უნდა გაითვალისწინოს საწარმომ იმის შეფასებისას, ხელშეკრულება წამგებიანია თუ ზარალიანი.

ცვლილება იყენებს „პირდაპირ დაკავშირებული დანახარჯის მიდგომას“. ის დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება საქონლის ან მომსახურების მიწოდების ხელშეკრულებას, მოიცავს როგორც ნაზარდ დანახარჯებს, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან პირდაპირ დაკავშირებული დანახარჯების განაწილებას. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები პირდაპირ არ უკავშირდება ხელშეკრულებას და გამოირიცხება, თუკი ისინი აშკარად არ ეკისრება კონტრაქტს ხელშეკრულების თანახმად.

„წამგებიანი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულების ხარჯები“ – შესწორებები ბასს (IAS) 37-ში (გაგრძელება)

ცვლილებები ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ჯგუფი ამ ცვლილებებს გამოიყენებს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომელთა მიხედვით აღებული ყველა ვალდებულება ჯერ არ შეუსრულებია წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში, რომელშიც იგი პირველად იყენებს ამ ცვლილებებს.

ცვლილებებს, სავარაუდოდ, არსებითი გავლენა არ ექნება ჯგუფზე.

ფასს (IFRS) 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ - შვილობილი საწარმო, როგორც საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს-ს

ფასს-ის სტანდარტების 2018-2020 წლების წლიური გაუმჯობესებების პროცესის ფარგლებში, ბასსს-მა გამოუშვა შესწორება ფასს (IFRS) 1-ში „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“. ცვლილება შვილობილ საწარმოს, რომელიც გადაწყვეტს გამოიყენოს ფასს 1-ის დ16(ა) მუხლი, უფლებას აძლევს, კუმულაციური საკურსო სხვაობა შეაფასოს მშობელი კომპანიის მიერ გაცხადებული თანხებით, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის მიხედვით. ეს ცვლილება ასევე გამოიყენება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებზე, რომლებიც არჩევენ ფასს 1-ის დ16 (ა) მუხლის გამოყენებას. ცვლილება ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება.

ჯგუფზე ეს ცვლილებები არ მოქმედებს.

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ – ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები;

ფასს-ის სტანდარტების 2018-2020 წლიური გაუმჯობესებების პროცესის ფარგლებში, ბასსს-მა გამოუშვა ფასს 9-ის შესწორება. ცვლილება განმარტავს საკომისიოებს, რომლებსაც საწარმო ითვალისწინებს იმის შეფასებისას, ახალი ან მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების პირობები არსებითად განსხვავდება თუ არა თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების პირობებისგან. ამ საკომისიოებში შედის მხოლოდ მსესხებლისა და კრედიტორის მიერ გადახდილი ან მიღებული საკომისიოები, მათ შორის ისინიც, რომლებიც მსესხებელმა ან კრედიტორმა ერთმანეთის სახელით გადაიხადეს ან მიიღეს. საწარმო ცვლილებებს იყენებს იმ ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც მოდიფიცირებული ან გაცვლილია იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღით ან თარიღიდან, რომლის განმავლობაშიც საწარმო პირველად იყენებს ამ ცვლილებას.

ცვლილება ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ჯგუფი ამ შესწორებებით იხელმძღვანელებს იმ ფინანსური ვალდებულებების შემთხვევაში, რომლებიც მოდიფიცირებული ან გაცვლილია იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღით ან თარიღიდან, რომლის განმავლობაშიც საწარმო პირველად იყენებს ამ შესწორებას.

5. სტანდარტები, რომლებიც გამოიყენება, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ამ ცვლილებებს, სავარაუდოდ, არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფზე.

ბასს (IAS) 41 – „სოფლის მეურნეობა“ – გადასახადით დაბეგვრა სამართლიანი ღირებულების შეფასებებში

ფასს-ის სტანდარტების 2018-2020 წლიური გაუმჯობესებების პროცესის ფარგლებში, ბასსს-მა გამოუშვა ფასს 9-ის „სოფლის მეურნეობა“ შესწორება. ცვლილების შედეგად ბასს 41-ის 22-ე მუხლიდან ამოღებულია მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ საწარმოებმა ბასს 41-ის მიხედვით აქტივების სამართლიანი ღირებულების შეფასებაში არ უნდა შეიყვანონ საგადასახადო ფულადი ნაკადები.

საწარმომ სამართლიანი ღირებულების შეფასებებში ცვლილება უნდა გამოიყენოს პერსპექტიულად პირველი წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან, კერძოდ, 2020 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ. დაშვებულია ვადაზე ადრე მიღება.

ამ ცვლილებებს, სავარაუდოდ, არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფზე.

სააღრიცხვო შეფასებების განმარტება – ბასს 8-ის შესწორებები

2021 წლის თებერვალში ბასსს-მა გამოუშვა ბასს 8-ის შესწორებები, რომლებშიც წარმოადგინა „სააღრიცხვო შეფასებების“ განმარტება. შესწორებები განმარტავს განსხვავებას სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებსა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებს შორის და შეცდომების გასწორებას. გარდა ამისა, იგი ასევე განმარტავს, როგორ იყენებენ საწარმოები შეფასების ხერხებს და ამოსავალ მონაცემებს სააღრიცხვო შეფასებების მისაღებად.

ცვლილებები ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და ვრცელდება სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებზე, რომლებიც დგება ამ პერიოდის დაწყების თარიღით ან მის შემდგომ. დაშვებულია ვადაზე ადრე გამოყენება, თუ ეს ფაქტი გაცხადდება.

ამ ცვლილებებს, სავარაუდოდ, არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფზე.

სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები – შესწორებები ბასს 1-სა და ფასს-ის მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში

2021 წლის თებერვალში ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს-ის მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში „არსებითობის განსჯა“, რომლებიც შეიცავს მითითებებსა და მაგალითებს, რათა დაეხმაროს საწარმოებს სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებების არსებითობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში. შესწორებების მიზანია საწარმოებს დაეხმაროს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ უფრო სასარგებლო განმარტებით შენიშვნების წარმოდგენაში, რისთვისაც, საწარმოებისადმი მოთხოვნა, რომ განაცხადონ „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკა, ჩანაცვლდა მოთხოვნით, რომ განაცხადონ თავიანთი „არსებითი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და დაემატა ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ საწარმოებმა არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენასთან დაკავშირებით.

ბასს 1-ში შესული ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. ვინაიდან ცვლილებები მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში შეიცავს არასავალდებულო მითითებებს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციაში ტერმინის „არსებითის“ განმარტების გამოყენების თაობაზე, მათი ძალაში შესვლის თარიღი არ არის საჭირო.

ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნებზე.

5. სტანდარტები, რომლებიც გამოიყენება, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ახალი ან შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ქვემოთ ჩამოთვლილ სტანდარტებს/ინტერპრეტაციებს, რომლებიც ჯგუფის საქმიანობისთვის აქტუალურია და 2021 წლის 1 იანვრისთვის შევიდა ძალაში, გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობის შედეგებზე:

- ▶ „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“ 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ – ცვლილებები ფასს 16-ში;
- ▶ „საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის ცვლილება – მე-2 ფაზა: ცვლილებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში, ფასს 7-ში, ფასს 4-სა და ფასს 16-ში.

ამ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფი აპირებს გამარტივებული მიდგომის გამოყენებას მომავალ პერიოდებზე, თუ ისინი ძალაში შევა.

6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რაც გავლენას ახდენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარმოდგენილი შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე და პირობითი ვალდებულებების განმარტებით შენიშვნებზე. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

(ა) მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის განსჯა, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

(i) დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების თავდაპირველი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფი აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9-ის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება მათი სამართლიანი ღირებულებით უნდა მოხდეს. თუ გარკვეული ოპერაციების აქტიური ბაზარი არ არსებობს, ხელმძღვანელობა თავად განსჯის, ეს ოპერაციები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით არის განფასებული თუ არასაბაზროთი. განსჯისას ხელმძღვანელობა ეყრდნობა დაუკავშირებელ (მისგან დამოუკიდებელ) მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

(ბ) შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. ჯგუფმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

(i) გუდვილის გაუფასურება

ჯგუფი გუდვილის გაუფასურებას, მინიმუმ, წელიწადში ერთხელ ამოწმებს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულების გამოთვლის საფუძველზე. ეს გამოთვლები მოითხოვს შეფასებების გამოყენებას, როგორც განმარტებულია ქვემოთ, მე-9 შენიშვნაში. ამ შეფასებების მიხედვით, 2021 წელს გუდვილის გაუფასურება არ დაფიქსირებულა.

6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(ბ) შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(ii) ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა

ძირითადი საშუალებების ერთეულების სასარგებლო გამოყენების ვადების განსაზღვრა განსჯის საგანია, მსგავსი აქტივებისგან მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ამ აქტივებში ჩართული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარება, მეტწილად, მათი ექსპლუატაციით ხდება. თუმცა სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ფიზიკური ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში ჩართული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა დარჩენილ სასარგებლო გამოყენების ვადებს აფასებს აქტივების ამჟამინდელ ტექნიკურ მდგომარეობაზე და იმ სავარაუდო პერიოდზე დაყრდნობით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია აქტივისგან სარგებლის მიღება ჯგუფის მიერ. შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება ხდება: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) ტექნიკური ან კომერციული მოძველება საბაზრო პირობების ცვლილების გამო.

2021 წელს ჯგუფმა, შემოსვლების გამო, გაზარდა გარკვეული ერთეულების სასარგებლო გამოყენების ვადა, რომლებიც თავიანთი ხასიათით წარმოადგენს კაპიტალურ შეკეთებას, განახლებას ან რემონტს, რაც ახანგრძლივებს აქტივის ექსპლუატაციას. სასარგებლო გამოყენების ვადების გადახედვის მთლიანი წლიური ეფექტი იყო წლიური ცვეთის ხარჯის 182 ლარით შემცირება 2021 წელს. ეფექტი მომავალ პერიოდებში წლიურ ცვეთაზე იქნება 344 ლარი.

(iii) ძირითადი საშუალებების დაზიანებული ნაწილის გასხვისება

2021 წელს ელექტროტურბინის გაუთვალისწინებელი გაუმართაობის გამო, კომპანიამ ჩამოწერა შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულება. ხელმძღვანელობის შეფასებით, დაზიანებული ნაწილების თვითღირებულება და დაგროვილი ცვეთა, შესაბამისად, 4,900 ლარით და 1,900 ლარით შემცირდა. შეფასება გაკეთდა ჯგუფის ტექნიკური პერსონალის შეფასების საფუძველზე, რომელსაც საკმარისი ცოდნა და კომპეტენცია აქვს ამ სფეროში.

(iv) ფინანსურ გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით, ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ფასდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ყველაზე მაღალი ოდენობით: ა) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ოდენობა, ბ) თავდაპირველად აღიარებული თანხა, მინუს შემოსავლის კუმულაციური ოდენობა. გარანტიის თავდაპირველი სამართლიანი ღირებულება შეფასდა წლიური გარანტიის საკომისიოს პროგნოზის საფუძველზე, რომელსაც გადაიხდიდა მესამე მხარე საბაზრო პირობებით შემდგარი გარიგების შემთხვევაში. ჯგუფი მშობელ კომპანიას უზრუნველყოფს გარანტიით სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ერთად. თავდაპირველი სამართლიანი ღირებულება განაწილდა ოთხ გარანტორ კომპანიაზე (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები), 2015-2017 წლებში ამ კომპანიების საშუალო EBITDA-ს (შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე) მიხედვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, შესაბამისი სავალო ინსტრუმენტების 12-თვიანი დეფოლტის ალბათობის გამოყენებით. სამართლიანი ღირებულება, შემცირებული აღიარებული შემოსავლის კუმულაციური ოდენობით, 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღემატებოდა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (მე-16 შენიშვნა).

7. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლება დაკავშირებულად, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებულ მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

2021 და 2020 წლებში ჯგუფს ჰქონდა დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები შემდეგ სამეურნეო სუბიექტებთან:

დაკავშირებული მხარის სახელწოდება	ქვეყანა	ურთიერთობა
„ენერგო-პრო ეი. ეს.“ სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგი“	ჩეხეთის რესპუბლიკა საქართველო	მშობელი კომპანია უშუალო მშობელი კომპანია საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო
მეგავატ სერვის s.r.o.	ჩეხეთის რესპუბლიკა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო
MEGAWATT SERVIS-ის წარმომადგენლობა საქართველოში	საქართველო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო
სს „ენერგო-პრო ჯორჯია“	საქართველო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო
სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“	საქართველო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო
Litostroj Power d.o.o.	ბულგარეთი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო
Litostroj Engineering, a.s.	ჩეხეთის რესპუბლიკა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო
სს „ოპპა“	საქართველო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო
ენერგო-პრო ბულგარეთი EAD	ბულგარეთი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო
ENERGO-PRO Swiss GmbH	შვეიცარია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო

7. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები ასე გამოიყურებოდა:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	
	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	–	36,454
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	–	3,753
გაცემული სესხები (მე-11 შენიშვნა)	–	14,640
ნასესხები სახსრები (მე-17 შენიშვნა)	66,372	7,645
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,780	11,011

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები ასე გამოიყურებოდა:

	31 დეკემბერი, 2020 წ.	
	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	–	22,027
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	–	30,298
გაცემული სესხები (მე-11 შენიშვნა)	–	3,697
ნასესხები სახსრები (მე-17 შენიშვნა)	56,340	5,120
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3,321	631

მოგებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ასე გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2021 წ.		
	უშუალო მშობელი კომპანია	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
სასაქონლო-მატერიალური მარაგებისა და აღჭურვილობის შეძენა	–	3,259	15,604
ელექტროენერგიის გაყიდვა ადგილობრივ ბაზრებზე	–	–	40,773
სხვა შემოსავალი	–	–	263
კონსულტაციის გასამრჯელო	–	–	17,482
მომსახურების ხარჯები	1,218	–	565
ფინანსური დანახარჯები (24 შენიშვნა)	–	3,167	483
კაპიტალიზებული ფინანსური დანახარჯები (მე-8 შენიშვნა)	–	622	142
ფინანსური შემოსავალი (24 შენიშვნა)	–	–	957

7. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

მოგებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ასე გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2020 წ.	
	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
სასაქონლო-მატერიალური მარაგებისა და აღჭურვილობის შეძენა	3,058	19,310
ელექტროენერგიის გაყიდვა ადგილობრივ ბაზრებზე	–	65,203
სხვა შემოსავალი	–	278
კონსულტაციის გასამრჯელო	–	16,284
მომსახურების ხარჯები	–	712
ფინანსური დანახარჯები (24 შენიშვნა)	3,067	188
კაპიტალიზებული ფინანსური დანახარჯები (მე-8 შენიშვნა)	344	72
ფინანსური შემოსავალი (24 შენიშვნა)	–	932

კონსულტაციის გასამრჯელო გადაიხდება მმართველობითი და ზედამხედველობითი, ფინანსური, ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული, ტექნიკური და სხვა მომსახურებისთვის, რომელსაც საქართველოში „მეგავატ სერვის ს.რ.ო.“-ის წარმომადგენლობა სწევს.

ქვემოთ წარმოდგენილია ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება:

	2021	2020
მოკლევადიანი სარგებელი		
ხელფასები	83	52
პრემიები	18	–
სულ	101	52

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში შედიან დირექტორთა საბჭოს წევრები. ჯგუფის აღმასრულებელი ხელმძღვანელობა ხორციელდება უშუალო მშობელი კომპანიის მიერ და გადანაწილდება, როგორც მომსახურების ხარჯები, პროფესიული მომსახურების ღირებულება.

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მოძრაობა ასეთია:

	მიწა და შენობა- ნაგებობები	ტექნიკური აღჭურვი- ლობა და დანადგარები	სხვა აღჭურვილო- ბა, ავეჯი და მოწყობი- ლობები	დაუმთავ- რებელი მშენებლობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
თვითღირებულება						
1 იანვარი, 2020 წ.	147,441	177,530	2,133	30,356	2,335	359,795
შემოსვლები	-	1,819	1,373	21,078	98	24,368
გასვლები	-	(789)	(9)	-	-	(798)
შიდა გადაცემა	4,499	7,183	6	(12,436)	748	-
1 დეკემბერი, 2020 წ.	151,940	185,743	3,503	38,998	3,181	383,365
შემოსვლები	-	58	181	41,848	114	42,201
გასვლები	-	(6,309)	(107)	(172)	-	(6,588)
შიდა გადაცემა	601	37,583	202	(38,496)	110	-
რეკლასიფიკაცია	(3,624)	6,283	(1,283)	-	(1,376)	-
შვილობილი კომპანიების შესყიდვა	1,563	88,059	142	2,882	320	92,966
31 დეკემბერი, 2021 წ.	150,480	311,417	2,638	45,060	2,349	511,944
დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი, 2020 წ.	(70,584)	(68,000)	(1,463)	-	(1,070)	(141,117)
ცვეთის ხარჯი	(2,282)	(5,521)	(144)	-	(180)	(8,127)
გასხვებისას ელიმინირებული	-	555	2	-	1	558
1 დეკემბერი, 2021 წ.	(72,866)	(72,966)	(1,605)	-	(1,249)	(148,686)
ცვეთის ხარჯი	(2,355)	(8,428)	(164)	-	(174)	(11,121)
გასხვებისას ელიმინირებული	-	2,303	94	-	-	2,397
რეკლასიფიკაცია	3,840	(4,738)	168	-	730	-
შვილობილი კომპანიების შესყიდვა	(559)	(33,788)	(143)	-	(120)	(34,610)
31 დეკემბერი, 2021 წ.	(71,940)	(117,617)	(1,650)	-	(813)	(192,020)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი, 2020 წ.	79,074	112,777	1,898	38,998	1,932	234,679
31 დეკემბერი, 2021 წ.	78,540	193,800	988	45,060	1,536	319,924

დაუმთავრებელ მშენებლობაში, ძირითადად, შედის ლაჯანურჰესის N3 ტურბინა-გენერატორის, ზაჰესის N6 ტურბინა-გენერატორის, ძეგრულას N2 ტურბინა-გენერატორის რეაბილიტაცია და დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, ანუ ის მოწყობილობები და მასალები, რომლებიც ჯერ არ მიღებულია ექსპლუატაციაში. დამონტაჟების დასრულების შემდეგ აქტივები გადადის ტექნიკურ აღჭურვილობასა და დანადგარებში, და მიწასა და შენობა-ნაგებობებში.

2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად გაცვეთილი, მაგრამ ჯერ კიდევ ექსპლუატაციაში მყოფი ძირითადი საშუალებების მთლიანი საბალანსო ღირებულება, შესაბამისად, დაახლოებით 11,083 ლარს და 12,182 ლარს შეადგენდა.

8. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული კაპიტალიზებული ხარჯები

2019 წლის აპრილში ჯგუფმა ძვერულა ჰესის N2 ტურბინა-გენერატორის და ლაჯანურჰესის N3 ტურბინა-გენერატორი რეაბილიტაცია. პროექტის დასრულება იგეგმება 2022 წელს. პროექტის მოსალოდნელი ღირებულება სულ 44,235 ლარია. პროექტი ფინანსდება შშოხელი კომპანიისგან და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან მიღებული ნასესხები სახსრებით. ლაჯანურჰესის N3 ტურბინა-გენერატორის რეაბილიტაციის პროექტი 2021 წელს მიმდინარეობდა და მისი დასრულება 2022 წლისთვის არის მოსალოდნელი. ძვერულა ჰესის N2 ტურბინა-გენერატორის რეაბილიტაცია 2020 წელს დროებით შეჩერდა.

განაკვეთი, რომელიც გამოყენებულია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული იმ დანახარჯების ოდენობის დასადგენად, რომელთა კაპიტალიზაციაც შესაძლებელი იყო, 5%-ია, რაც კონკრეტული ნასესხები სახსრების საპროცენტო განაკვეთია. ნასესხები სახსრების კაპიტალიზაცია დროებით შეჩერდა 2020 წლის აპრილში წლის ბოლომდე, ვინაიდან კოვიდ-19-ის პანდემიის გამო შეჩერდა რეაბილიტაციის პროექტი. ლაჯანურის პროექტი განახლდა 2021 წელს, ხოლო ძვერულა ჯერ კიდევ შეჩერებულია.

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში საპროცენტო ხარჯის კაპიტალიზაციის თანხა 764 ლარი იყო (2020 წ.: 416 ლარი).

კაპიტალური დაბანდების ვალდებულება

2021 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფს ჰქონდა 20,290 ევროს, 280 აშშ დოლარისა და 368 ლარის (დაახლოებით 72,332 ლარი დღგ-ის ჩათვლით) კაპიტალური დანახარჯების დასრულებასთან დაკავშირებული ვალდებულება (2020 წლის 31 დეკემბერი: 11,669 ევრო, 357 აშშ დოლარი და 546 ლარი (დაახლოებით 48,664 ლარი დღგ-ის ჩათვლით)). 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი დაუფარავი ვალდებულებიდან 11,669 ევრო (36,454 ლარი) უკვე გადახდილი იყო.

9. გუდვილი

გუდვილის ნაშთი 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის გაუტოლდა 68,960 ლარს. იგი მოიცავს გუდვილს, რომელიც აღიარებულია საწარმოთა გაერთიანების შედეგად, რის ფარგლებშიც წინა წლებში მოხდა ჰესების შეძენა.

გუდვილის გაუფასურების ტესტირება

ჯგუფს მიაჩნია, რომ ყველა მისი ჰესი წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთ ერთეულს და მისი გუდვილი მთლიანად არის მიკუთვნებადი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ამ ერთეულისთვის („ჰეს-ის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული“). შპს „ჯიფაურის“ შეძენის შემდეგ (26-ე შენიშვნა) 2021 წელს, ჯგუფს აქვს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ცალკე ერთეული („ჰესის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული“), ვინაიდან ფულადი ნაკადები და შემოსავლის წარმოქმნა თვის მიერ გამოიჯნულია ჰესებისგან.

ჰესის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულების გამოთვლის საფუძველზე. გამოთვლაში გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზები, რომელიც ემყარება ხელმძღვანელობის მიერ ოთხწლიანი პერიოდისთვის მომზადებულ ფინანსურ პროგნოზებს. ოთხწლიანი პერიოდის შემდგომი ფულადი ნაკადების ექსტრაპოლაცია მოხდა ქვემოთ მოცემული მოსალოდნელი ზრდის ტემპების საფუძველზე. ზრდის ტემპი არ აჭარბებს ეკონომიკის იმ ბიზნესსექტორის გრძელვადიან საშუალო ზრდის ტემპს, რომელშიც ჰესის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული ეწევა საქმიანობას.

9. გუდვილი (გაგრძელება)

გუდვილის გაუფასურების ტესტირება (გაგრძელება)

გამოყენების ღირებულების გამოსათვლელად გამოყენებული დაშვებები, რომელთა მიმართაც აღდგენითი ღირებულება ყველაზე მგრძნობიარეა:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
წლიური ზრდის ტემპი პროგნოზირებული პერიოდის განმავლობაში	16%-იანი	25%-იანი
ზრდის ტემპი 3 წლის შემდეგ	რთული	რთული
დისკონტირების განაკვეთი გადასახადით დაბეგვრამდე	წლიური 1%	წლიური 1%
	წლიური 15.4%	წლიური 15.4%

ხელმძღვანელობამ ბიუჯეტირებული საერთო მარჟა განსაზღვრა წარსულში განხორციელებულ საქმიანობასა და ბაზრის სამომავლო ანალიზის საფუძველზე. ზრდის საშუალო შეწონილი განაკვეთი შეესაბამება დარგის ანგარიშში მოცემულ პროგნოზებს და დამტკიცებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ჰესების დერეგულაციასთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჰესის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენითი ღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებულ ძირითად დაშვებებში გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილებები არ გამოიწვევს გუდვილის გაუფასურებას.

10. მარაგები

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
ხელსაწყოები და ჰანჭიკები	1,666	968
ჯართი და დაზიანებული ინვენტარი (ა)	1,200	1,170
ელექტროაღჭურვილობა	1,181	889
სათადარიგო ნაწილები	1,158	148
საპოხ-საცხები მასალები	390	362
კაბელები და მავთულები	369	280
კომბინეზონები და სპეცტანსაცმელი	123	66
ბოძები	13	13
სხვა	1,864	1,263
სასაქონლო-მატერიალური მარაგები, სულ	7,964	5,159

(ა) ჯართი და დაზიანებული ინვენტარი შედგება მარაგების ისეთი ერთეულებისგან, როგორიცაა კაბელები, სადენები და ელექტროაღჭურვილობა, რომელსაც დამატებითი სარემონტო სამუშაოები სჭირდება გამოსადეგად ვარგის მდგომარეობაში მოსაყვანად. 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასეთი მარაგები ჩამოიწერება არსებულ მდგომარეობაში მათ წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე.

11. გაცემული სესხები

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
გაცემული სესხების მოკლევადიანი ნაწილი		
MEGAWATT SERVIS-ის წარმომადგენლობა საქართველოში	–	3,697
სს „ენერგო-პრო ჯორჯია“	6,965	–
სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“	7,675	–
სულ გაცემული სესხების მოკლევადიანი ნაწილი	14,640	3,697
სულ გაცემული სესხები	14,640	3,697

11. გაცემული სესხები (გაგრძელება)

2021 წლის განმავლობაში ჯგუფმა გასცა სესხები სს „ენერგო-პრო ჯორჯიაზე“ და სს „ეპ ჯორჯია მიწოდებაზე“ 13,000 ლარისა და 7,500 ლარის ოდენობით. ორივე სესხის დაფარვის ვადა 2022 წელს იწურება.

გაცემული სესხების მოძრაობა 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ასე გამოიყურება:

	2021	2020
1 იანვრის მდგომარეობით	3,697	14,241
საწარმოთა გაერთიანება	3,396	–
წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	957	932
წლის განმავლობაში მიღებული პროცენტი	(509)	–
წლის განმავლობაში გაცემული სესხები	20,500	–
სესხის ძირითადი თანხის დასაფარი შენატანები	(9,701)	–
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილ ავანსებთან / სავაჭრო კრედიტორულ დავალიანებასთან გაქვითული ძირითადი თანხა	(3,698)	(13,957)
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილ ავანსებთან / სავაჭრო კრედიტორულ დავალიანებასთან გაქვითული პროცენტი	(2)	(1,188)
საკურსო სხვაობა, წმინდა	–	3,669
31 დეკემბრის მდგომარეობით	14,640	3,697

ვინაიდან სესხების მთლიანი ნაშთები დაკავშირებული მხარეებისთვის არის გაცემული, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობა არ არის არსებითი და ჯგუფი არ აღიარებს შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს.

12. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
კომერციული სექტორისგან მისაღები თანხები	10,982	31,376
გარანტირებული სიმძლავრის რეალიზაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები	1,184	–
ელექტროენერგიის გადაცემასთან დაკავშირებული მოთხოვნები	116	102
სხვა დებიტორული დავალიანება	693	776
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(152)	–
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	12,823	32,254

- (ა) გარანტირებული სიმძლავრის რეალიზაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები არსებობს ერთი მომხმარებლის, ესკოს, მიმართ, რომელიც არის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი. „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანების ცვლილების საფუძველზე, და გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვის სტანდარტული ხელშეკრულებების მიხედვით, ესკო ვალდებულია ჯგუფს გადაუხადოს იმ შემთხვევაშიც, თუ თვითონ კვალიფიციური საწარმოებისგან ვერ მიიღებს გადახდებს.

კრედიტით გაყიდვების შემთხვევაში, გადახდის საშუალო ვადა 15 დღეა. მომხმარებლებთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებების მიხედვით, გადახდების დაგვიანების შემთხვევაში, ჯგუფს უფლება აქვს დააწესოს ჯარიმა დღიური 0.05%-ს ოდენობით.

ჯგუფი სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას ჩამოწერს მაშინ, როდესაც შემდეგი ორი შემთხვევიდან რომელიმე დადგება: როდესაც გარკვეული ინფორმაცია მიანიშნებს დებიტორის მწვავე ფინანსურ სირთულეებზე და დავალიანების ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს (მაგალითად, მიმდინარეობს დებიტორის ლიკვიდაცია ან დაწყებულია გაკოტრების საქმის წარმოება), ან, როდესაც სავაჭრო დებიტორული დავალიანება ორ წელზე მეტი ხნით ხდება ვადაგადაცილებული.

12. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ანალიზი საკრედიტო ხარისხის მიხედვით:

	სავაჭრო დებიტორული დავალიანება - ვადაგადაცილებული დღეები					სულ
	30 დღემდე	30-დან 90 დღემდე	91-დან 180 დღემდე	180-ზე მეტი დღით		
31 დეკემბერი, 2021 წ.	ვადაგადაუ- ცილებელი	ვადაგადა- ცილებული	ვადაგადა- ცილებული	ვადაგადა- ცილებული	ვადაგადა- ცილებული	
დეფოლტის დროს						
მოსალოდნელი მთლიანი						
საბალანსო ღირებულება, სულ	12,249	2	–	26	698	12,975
მოსალოდნელი ზარალის დონე	0.65%	–	–	3.8%	10.17%	
არსებობის მანძილზე						
მოსალოდნელი საკრედიტო						
ზარალი	(80)	–	–	(1)	(71)	(152)

	სავაჭრო დებიტორული დავალიანება - ვადაგადაცილებული დღეები					სულ
	30 დღემდე	30-დან 90 დღემდე	91-დან 180 დღემდე	180-ზე მეტი დღით		
31 დეკემბერი, 2020 წ.	ვადაგადაუ- ცილებელი	ვადაგადა- ცილებული	ვადაგადა- ცილებული	ვადაგადა- ცილებული	ვადაგადა- ცილებული	
დეფოლტის დროს						
მოსალოდნელი მთლიანი						
საბალანსო ღირებულება, სულ	4,175	3,410	5,815	15,046	3,808	32,254
მოსალოდნელი ზარალის დონე	0%	0%	0%	0%	0%	
არსებობის მანძილზე						
მოსალოდნელი საკრედიტო						
ზარალი	–	–	–	–	–	–

13. სხვა მიმდინარე აქტივები

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
წინასწარ გადახდილი გადასახადი	1,588	562
გადახდილი ავანსები	252	254
სხვა მიმდინარე აქტივები, სულ	1,840	816

14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
ნაღდი ფული სალაროში		
ლარში გამოხატული	12	9
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში		
ლარში გამოხატული	6,365	1,860
ევროში გამოხატული	34	2
აშშ დოლარში გამოხატული	12	6
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	6,423	1,877

2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში შედგება საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშებისგან. მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს დაერიცხა 184 ლარის საპროცენტო შემოსავალი 2021 წელს (2020 წ.: 39 ლარი).

15. სააქციო კაპიტალი

2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მთლიანი ნებადართული, გამოშვებული და განადგურებული საწესდებო კაპიტალი შედგებოდა 15,000 ათასი აქციისგან, რომელთაგან თითოეულის ღირებულება 1 ლარია. თითოეული ჩვეულებრივი აქცია სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. 2021 და 2020 წლებში ჯგუფს არ გამოუცხადებია დივიდენდები.

16. ფინანსურ გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულება

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
ფინანსური გარანტია	1,082	1,822
სულ გრძელვადიანი	1,082	1,822

ფინანსური გარანტიის მოძრაობა ასე გამოიყურება:

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,564
ფინანსური გარანტიის ამორტიზაციიდან მიღებული შემოსავალი	(742)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,822
ფინანსური გარანტიის ამორტიზაციიდან მიღებული შემოსავალი	(740)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,082

2017 წლის 7 დეკემბერს და 2018 წლის 4 მაისს მშობელმა კომპანიამ გამოუშვა 370 და 250 მილიონი ევროს გარანტირებული თამასუქები, რომელთა დაფარვის ვადა, შესაბამისად, იწურება 2022 წელსა და 2024 წელს. თამასუქები განთავსებულია საჯარო სააქციო საზოგადოება „ირლანდიის საფონდო ბირჟაზე“ (ივაჭრება, როგორც „ევრონექსტი დუბლინი“), რომელსაც არეგულირებს ირლანდიის ცენტრალური ბანკი. თამასუქები უპირობოდ და შეუქცევადად არის გარანტირებული სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“, კომპანიის, „ენერგო-პრო ვარნა EAD“-ისა და REŞADIYE HAMZALI ELEKTRİK ÜRETİM SAN-ის მიერ. VE TİC. A.Ş. (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები). შესაბამისი სამართლიანი ღირებულების აღიარება მოხდა პირდაპირ გაუნაწილებელი მოგების მეშვეობით, ვინაიდან გარიგება შედგა მშობელ კომპანიასთან, და წრფივი მეთოდით ამორტიზდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მეშვეობით.

17. ნასესხები სახსრები

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
გრძელვადიანი ნაწილი		
მშობელი კომპანია	–	25,070
სს „ოპპა“	–	4,812
სულ გრძელვადიანი ნაწილი	–	29,882
მოკლევადიანი ნაწილი		
მშობელი კომპანია	66,372	31,270
სს „ოპპა“	7,645	308
სულ მოკლევადიანი ნაწილი	74,017	31,578
ნასესხები სახსრები, სულ	74,017	61,460

17. ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

ნასესხები სახსრების მოძრაობა ასე გამოიყურება:

	2021	2020
1 იანვრის მდგომარეობით	61,460	76,021
საწარმოთა გაერთიანება	47,773	–
დამატება წლის განმავლობაში	10,664	–
წლის საპროცენტო ხარჯი	3,650	3,255
კაპიტალიზებული საპროცენტო ხარჯი	764	416
გაქვითული სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებასთან – ძირითადი თანხა	(16,905)	(1,836)
გაქვითული სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებასთან – პროცენტი	(2,327)	(2,272)
გადახდილი პროცენტი	(2,023)	(705)
სესხის ძირითადი თანხის დასაფარი შენატანები	(18,417)	(28,580)
საკურსო სხვაობა, წმინდა	(10,622)	15,161
31 დეკემბრის მდგომარეობით	74,017	61,460

18. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
შეძენილ ძირითად საშუალებებში გადასახდელი თანხები	11,756	3,933
მომსახურებასა და მასალებში გადასახდელი თანხები	7,596	9,694
შესყიდულ ბუნებრივ აირთან დაკავშირებული დავალიანება	675	–
სხვა	13	56
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	20,040	13,683

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მიერ მომსახურებასა და მასალებში გადასახდელი 4,781 ლარის დავალიანება ჯგუფმა შეისყიდა ქართული კომერციული ბანკის მეშვეობით (2020 წლის 31 დეკემბერი: 9,393 ლარი). 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მიერ ძირითად საშუალებებში გადასახდელი 1,109 ლარის დავალიანება ჯგუფმა შეისყიდა ქართული კომერციული ბანკის მეშვეობით (2020 წლის 31 დეკემბერი: ნული). ჯგუფი ამ ინსტრუმენტებზე დაყრდნობით მართავს თავის ლიკვიდურობას (მე-3 შენიშვნა). 2021 წელს ჯგუფს ამ ფაქტორინგულ შეთანხმებებზე დაერიცხა 380 ლარის საპროცენტო ხარჯი (2020 წ.: 328 ლარი).

19. ელექტროენერგიის გაყიდვა ადგილობრივ ბაზარზე

	2021	2020
წარმოებული ელექტროენერგიის რეალიზაცია	105,254	78,457
გარანტირებული სიმძლავრის რეალიზაცია	10,106	–
შესყიდული ელექტროენერგიით ვაჭრობა	4,164	–
ელექტროენერგიის გატარება	1,023	949
ელექტროენერგიის გაყიდვა ადგილობრივ ბაზარზე, სულ	120,547	79,406

სავაჭრო მოთხოვნები ელექტროენერგიის შესყიდვისთვის, გადაცემისა და გარანტირებული სიმძლავრისთვის უკავშირდება ელექტროენერგიის გაყიდვას. 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელშეკრულებო ვალდებულებები არ ფიქსირდებოდა. სავაჭროდ განკუთვნილი შესყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულება შეადგენდა 3,736 ლარს (21-ე შენიშვნა).

სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ლარში

20. სხვა შემოსავალი

	2021	2020
შემოსავალი სადაზღვევო მოთხოვნებიდან	19,122	1,180
საიჯარო შემოსავალი	415	414
შემოსულობა ჯართად ქცეული მარაგების ჩამოწერიდან	344	208
სასაქონლო-მატერიალური მარაგების და ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობა	231	147
შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან	14	382
სხვა	66	9
სხვა შემოსავლები, სულ	20,192	2,340

21. შესყიდული ენერგია

	2021	2020
შესყიდული ელექტროენერგია	(3,736)	–
შესყიდული გაზი	(3,319)	–
გაზის ტრანსპორტირება	(142)	–
სულ შესყიდული ენერგია	(7,197)	–

ელექტროენერგია სავაჭრო საქმიანობისთვის შესყიდულია სხვადასხვა ადგილობრივი ჰესისგან და ძირითადად გადაიყიდა მსხვილ კომერციულ საწარმოებზე, რომლებიც ბაზარზე ოპერირებენ, როგორც პირდაპირი მომხმარებლები. შემოსავალი შესყიდული ელექტროენერგიით ვაჭრობიდან შეადგენდა 4,164 ლარს (მე-19 შენიშვნა).

გაზის შესყიდვის ტარიფი გამოხატულია აშშ დოლარში, ხოლო წარმოების ტარიფები გამოხატულია ლარში და ყოველთვიურად ქვეყნდება სემეკის მიერ ამავე პერიოდის მხოლოდ ცვლადი დანახარჯების დასაფარად.

22. მომსახურების ხარჯები

	2021	2020
დაზღვევა	(2,548)	(2,293)
პროფესიული მომსახურება	(1,464)	(167)
დაცვა-უსაფრთხოების ხარჯი	(848)	(679)
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	(781)	(563)
კომუნალური ხარჯი	(566)	(420)
იჯარის ხარჯი	(416)	(579)
ბანკის მომსახურების საკომისიო	(22)	(10)
სხვა	(16)	(19)
სულ მომსახურების ხარჯები	(6,661)	(4,730)

პროფესიული მომსახურების გასამრჯელოში შესული 1,218 ლარი მიკუთვნებადია უშუალო მშობელი კომპანიისთვის (მე-7 შენიშვნა), რომელიც სწევს სრულ ადმინისტრაციულ მომსახურებას.

აუდიტორის საზღაური

ჯგუფის აუდიტორის ანაზღაურება 31 დეკემბრით დასრულებული 2021 და 2020 წლებისთვის მოიცავს შემდეგს (დღგ-ის გარეშე):

	2021	2020
გასამრჯელო ჯგუფის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის	(79)	(48)
სხვა მარწმუნებელი მომსახურების დანახარჯები	(91)	(34)
სხვა პროფესიული მომსახურების დანახარჯები	(29)	(29)
სულ გასამრჯელოები და ხარჯები	(199)	(111)

23. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2021	2020
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა (ა)	(3,000)	–
ესკოს მომსახურების საფასური	(391)	(265)
სემეკის ლიცენზიის მოსაკრებლის საფასური	(240)	(157)
მოხმარებული საოფისე მარაგები	(207)	(87)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების მოძველების ხარჯი და ჩამოწერა	(175)	(1,226)
სხვა მიღებული მომსახურება	(162)	(149)
სამივლინებო ხარჯი	(135)	(128)
გაუფასურების რეზერვი და უიმედო ვალების ჩამოწერა	(104)	(34)
რეზერვის დარიცხვა	(77)	–
პროექტის ექსპერტიზის ხარჯი	–	(179)
სხვა	(219)	(100)
სხვა საოპერაციო ხარჯები, სულ	(4,710)	(2,325)

(ა) აირგენერატორის და ელექტროტურბინების გაუთვალისწინებელი გაუმართაობის გამო, შეცვლილი აქტივების დარჩენილი ნაშთი ჩამოიწერა, როგორც ზარალი გასვლის შედეგად (მე-6 შენიშვნა).

24. ფინანსური შემოსავალი/(დანახარჯები), წმინდა

	2021	2020
საპროცენტო ხარჯი	(4,030)	(3,583)
წმინდა საკურსო ზარალი	–	(12,154)
ფინანსური ხარჯები	(4,030)	(15,737)
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან	957	932
ფინანსური გარანტიის ამორტიზაციიდან მიღებული შემოსავალი (მე-16 შენიშვნა)	740	742
საპროცენტო შემოსავალი ფულადი სახსრებიდან და მათი ეკვივალენტებიდან	184	39
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	12,148	–
ფინანსური შემოსავალი	14,029	1,713
ფინანსური შემოსავალი/(დანახარჯები), წმინდა	9,999	(14,024)

25. პირობითი ვალდებულებები

გაცემული გარანტიები

გარანტიები წარმოადგენს გამოუთხოვად რწმუნებას მასზე, რომ ჯგუფი განახორციელებს გადახდებს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

ჯგუფმა მშობელ კომპანიას წარუდგინა გარანტია ირლანდიის საფონდო ბირჟა რეგისტრირებული თამასუქებისთვის. ჯგუფმა აღიარა ფინანსურ გარანტიასთან დაკავშირებული შესაბამისი ვალდებულება 2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (მე-16 შენიშვნა).

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. ჯგუფი პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. 2019 წელს გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ადმინისტრაციული დარღვევის აქტი გამოსცა ჯგუფისთვის ჯარიმის დაკისრების თაობაზე სალიცენზიო პირობების დარღვევის გამო, კერძოდ მასზე, რომ გარემოს დაცვის ლიცენზია სს „ენერგო-პრო

25. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

გარემოსდაცვითი საკითხები (გაგრძელება)

ჯორჯიამ არ გადასცა ჯგუფს ორთაჭალჭესისთვის. 2020 წელს ჯგუფმა წააგო სასამართლო პროცესი და გადაიხადა შესაბამისი ჯარიმა 7 ლარის ოდენობით.

2021 წლის განმავლობაში გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ადმინისტრაციული დარღვევის აქტი გამოსცა ჯგუფისთვის 12 ლარის ჯარიმის დაკისრების თაობაზე, რადგან მან ვერ შეასრულა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობები ლაჯანურჭესისა და რიონჭესისთვის და მოითხოვა დარღვევის აღმოფხვრა. ჯგუფს მიაჩნია, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება მას არ დააკისრებს მნიშვნელოვან ხარჯებს.

მთავრობის წინაშე აღებული ვალდებულებები

საქართველოს მთავრობასა და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შორის 2007 წელს გაფორმებული „ჰიდროელექტროსადგურებისა და ელექტროგამანაწილებელი კომპანიების აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულებით“ ჯგუფს შესყიდულ ჰიდროელექტროსადგურებში იმ დროისთვის დადგენილი სიმძლავრის (362 მგვტ) 85%-ის (307.7 მგვტ) შენარჩუნების ვალდებულება ერგო მემკვიდრეობით. ამ ვალდებულებას თუ არ შეასრულებს, ჯგუფს შეიძლება შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა დააკისრონ ადმინისტრაციული ჯარიმები და/ან სანქციები, ან გაუქმონ ერთი ან ერთზე მეტი ლიცენზია *პრივატიზების შესახებ საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სამართლებრივი ბაზის საფუძველზე*. 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს შესრულებული ჰქონდა ეს ვალდებულება.

საოპერაციო გარემო

განვითარებადი ბაზრები, როგორც საქართველოა, განვითარებული ბაზრებისგან განსხვავებულ რისკებს ატარებს, მათ შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ, იურიდიულ და საკანონმდებლო რისკებს. საქართველოში ბიზნესგარემოსთან დაკავშირებული კანონები და ნორმატიული აქტები სწრაფად იცვლება, ხოლო საგადასახადო და მარეგულირებელი გარემო სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საქართველოს სამომავლო ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში მიმდინარე მოვლენები.

ბოლო ორ წელიწადში საქართველოში მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, ძირითადად, 2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმების თანახმად, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირთან ჰარმონიზაციის მიზნით. 2021 წლისა და 2020 წლის განმავლობაში დანერგილმა საკანონმდებლო ცვლილებებმა ამისთვის ნიადაგი კი მოამზადეს, მაგრამ მომავალში ცვლილებები კიდევ არის მოსალოდნელი.

2019 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ახალი „კანონი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ და „კანონი განახლებადი ენერგიის წყაროების შესახებ“ და საფუძველი ჩაუყარა ენერგოსექტორის რეფორმას ენერგოსაზოგადოების საერთაშორისო ხელშეკრულებისა და ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. საქართველოს მთავრობის მიერ ქვეყნის ელექტროენერგიის სექტორის მიმდინარე რეფორმის ფარგლებში 2020 წლის 16 აპრილს მიღებული ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის მიხედვით, ელექტროენერგიის გარკვეულ მწარმოებლებს დაეკისრათ საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულება. ელექტროენერგიის ყველა მწარმოებელი 120 მგვტ-მდე დადგენილი სიმძლავრით ეტაპობრივად უნდა გათავისუფლდეს საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულებისგან: 2021 წლის 1 იანვრიდან 50 მგვტ-მდე დადგენილი სიმძლავრის მქონე მწარმოებლები, 2022 წლის 1 მაისიდან 65 მგვტ-მდე დადგენილი სიმძლავრის მქონე მწარმოებლები, 2024 წლის 1 მაისიდან 75 მგვტ-მდე დადგენილი სიმძლავრის მქონე მწარმოებლები და 2027 წლის 1 იანვრიდან 120 მგვტ-მდე დადგენილი სიმძლავრის მქონე მწარმოებლები. ამის შედეგად შორეული გათავისუფლდა საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულებისგან 2021 წლის 1 იანვრიდან და დაიწყო თავისუფალ ბაზარზე მოქმედი ფასებით ვაჭრობა. დღით ადრე და დამახალანსებელი ბაზრები, რომლებიც უნდა გაიხსნას 2021 წლის 1 სექტემბრიდან, ამჟამად ტესტირების ეტაპზეა. საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულების მქონე ელექტროსადგურები ვალდებული იქნებიან ელექტროენერგია დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე გაყიდონ საბაზრო ფასით. სხვაობა საბაზრო ფასსა და სემეკის მიერ დამტკიცებულ ტარიფს შორის ანაზღაურდება ესკოსთვის/ესკოს მიერ.

26. საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოთა გაერთიანებები

ჯგუფმა შპს „ჯიფაურის“ შეიძინა მშობელი კომპანიის რესტრუქტურის შედეგად. საწარმოთა გაერთიანების შემდეგ ჯგუფმა გააერთიანა მშობელი კომპანიის ქართული სამეურნეო სუბიექტების წარმოების აქტივები ერთ საანგარიშგებო ჯგუფად.

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოთა გაერთიანებები აღირიცხება წილების გაერთიანების მეთოდით პერსპექტიულად, რომლის დროსაც არ ხდება საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანებამდე პერიოდების გადაანგარიშება. შემენილი აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება მათი წინამორბედი საბალანსო ღირებულებებით. შემენის თარიღისთვის შპს „ჯიფაურის“ ამოცნობადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები ასეთი იყო:

აქტივები

ძირითადი საშუალებები	58,356
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	2,826
არამატერიალური აქტივები	31
მარაგები	1,753
იგაცემული სესხები	3,396
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	1,346
სხვა მიმდინარე აქტივები	379
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,151
	69,238

ვალდებულებები

ნასესხები სახსრები	47,773
საიჯარო ვალდებულებები	2
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	800
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	38
	48,613

სულ საბალანსო ღირებულებით აღრიცხული ამოცნობადი წმინდა აქტივები

სხვაობა შეიღობილი საწარმოს ამოცნობადი აქტივების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ შესყიდვის ღირებულებას შორის	20,625
	9,375

გადახდილი შესყიდვის ღირებულება

	30,000
--	---------------

გადახდილმა ფულადმა საზღაურმა შეადგინა 30,000 ლარი. 9,375 ლარის სხვაობა ფულად საზღაურსა და შემენილ წმინდა აქტივებს შორის აღიარებული იქნა საკუთარ კაპიტალში. შემენის თარიღიდან შპს „ჯიფაურის“ შემოსავალმა შეადგინა 13,572 ლარი, ხოლო ჯგუფის უწყვეტი საქმიანობიდან მიღებულ დასაბეგრ მოგებაში 23,663 ლარი შეიტანა. საწარმოთა გაერთიანება წლის დასაწყისში რომ მომხდარიყო, უწყვეტი საქმიანობიდან შემოსავალი იქნებოდა 18,665 ლარი, ხოლო ჯგუფის უწყვეტი საქმიანობიდან დასაბეგრი მოგება იქნებოდა 25,680 ლარი.

27. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფი არის საბოლოო მშობელი კომპანიის მიერ კონტროლირებული უფრო დიდი ჯგუფის ნაწილი. ფინანსური რისკების უმეტესი ნაწილი იმართება და კონტროლდება მშობელი კომპანიის დონეზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჯგუფს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ აქვს. ფინანსური რისკის მართვის მიზანია ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და მომსახურების ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

27. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო არის რისკი იმისა, რომ მომხმარებელმა ვერ შეასრულოს ან დროულად ვერ შეასრულოს ჯგუფის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები და ამის გამო ჯგუფს მიაყენოს ფინანსური ზარალი. ჯგუფს საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად სავაჭრო დებიტორული ანგარიშები) და ფინანსური საქმიანობიდან, ასევე ბანკებსა და დაკავშირებულ მხარეებში განთავსებული ანგარიშებიდან, სავალუტო გარიგებებიდან და სხვა ფინანსური ინსტრუმენტებიდან გამომდინარე.

საკრედიტო რისკი ფულად სახსრებზე შეზღუდულია, რადგან კონტრაჰენტები არიან დადებითი საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკები.

ჯგუფის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

		გარე	შიდა	12 თვის ან აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდ- ნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელ ი საკრედიტო ზარალი	ნარჩენი საბალანსო ღირებულება
31 დეკემბერი, 2021 წ.	შენიშ- ვნა	საკრედიტო რეიტინგი	საკრედიტო რეიტინგი				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები							
დაკავშირებული მხარეების მიმართ	12	მითითებული არ არის	(i)	ინდივიდუალ ური	3,753	–	3,753
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები							
არადაკავშირებული მხარეების მიმართ	12	მითითებული არ არის	(ii)	ინდივიდუალ ური	9,222	(152)	9,070
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში	14	BB- მითითებული	(iii)	12-თვიანი ინდივიდუალ	6,411	–	6,411
გაცემული სესხები	11	არ არის	(i)	ური	14,640	–	14,640

		გარე	შიდა	12 თვის ან აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდ- ნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელ ი საკრედიტო ზარალი	ნარჩენი საბალანსო ღირებულება
31 დეკემბერი, 2020 წ.	შენიშ- ვნა	საკრედიტო რეიტინგი	საკრედიტო რეიტინგი				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები							
დაკავშირებული მხარეების მიმართ	12	მითითებული არ არის	(i)	ინდივი- დუალური	30,298	–	30,298
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები							
არადაკავშირებული მხარეების მიმართ	12	მითითებული არ არის	(ii)	ინდივი- დუალური	1,956	–	1,956
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში	14	BB- მითითებული	(iii)	12-თვიანი ინდივი-	1,868	–	1,868
გაცემული სესხები	11	არ არის	(i)	დუალური	3,697	–	3,697

27. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

(ა) საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

- (i) სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების და დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება ინდივიდუალურად. ჯგუფის შეფასებით, ეს თანხები სრულად ამოღებადია დაკავშირებული მხარეებიდან და ამიტომ ამ დავალიანებებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი არ შეუქმნია.
- (ii) ჯგუფი სხვა დებიტორულ დავალიანებაზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობას გამოითვლის ზარალის დონეების მიხედვით, რომლებსაც განსაზღვრავს ექსპერტების მოსაზრებაზე დაყრდნობით. ექსპერტის მოსაზრების გამოყენება გონივრულად მიიჩნევა ისტორიული ინფორმაციის არქონის გამო, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა რეზერვების მატრიცის შედგენა
- (iii) ამ დეპოზიტებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განსაზღვრება 12-თვიანი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. 12-თვიანი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელსაც განაპირობებს ფინანსურ ინსტრუმენტზე დეფოლტის შემთხვევების შესაძლო დადგომა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც აქტივის წარმოშობიდან საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რეზერვი შეიქმნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მთლიანად პირველ სტადიას მიეკუთვნება.

(ბ) საბაზრო რისკი

ჯგუფს აქვს საბაზრო რისკები. საბაზრო რისკებს განაპირობებს ღია პოზიცია უცხოურ ვალუტაში და პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, რომელთაგან ყველა დამოკიდებულია ბაზრის ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებზე.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა ეყრდნობა ცვლილებას ერთ ფაქტორში, როდესაც ყველა დანარჩენი ფაქტორი მუდმივია.

პრაქტიკაში ეს ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოხდეს და გარკვეულ ფაქტორებში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ერთმანეთთან კორელაციაში იყოს – მაგალითად, საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო კურსების ცვლილება.

(გ) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე უარყოფითად აისახება ცვლილებები სავალუტო კურსებში, რომლებიც ჯგუფისთვის აქტუალურია. ჯგუფის გარკვეული ოპერაციები უცხოურ ვალუტებშია გამოხატული. ჯგუფი არ იყენებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად, ჯგუფის ხელმძღვანელობა ასეთი რისკების შემცირებას ცდილობს უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებების მართვით ჯგუფის დონეზე. ჯგუფი არ მიმართავს ჰეჯირების აღრიცხვას და არ გაუფორმებია არანაირი ჰეჯირების ხელშეკრულება უცხოურ ვალუტაში თავის ვალდებულებებთან ან საპროცენტო განაკვეთის რისკთან დაკავშირებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის სავალუტო კურსის მერყეობის რისკის მოცულობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის:

	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2020 წლის 31 დეკემბრის		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ- ლებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ- ლებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ლარი	33,234	12,340	20,894	33,427	295	33,132
აშშ დოლარი	12	341	(329)	6	–	6
ევრო	640	81,487	(80,847)	4,395	74,848	(70,453)
სულ	33,886	94,168	(60,282)	37,828	75,143	(37,315)

27. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

(გ) სავალუტო რისკი (გაგრძელება)

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის მგრძნობელობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის მოქმედი სავალუტო კურსების გონივრულად მოსალოდნელი ცვლილებებისადმი, ჯგუფის შესაბამისი საწარმოების სამუშაო ვალუტასთან შედარებით, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის შემთხვევაში:

	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
	ეფექტი მოგებაზე ან ზარალზე	ეფექტი მოგებაზე ან ზარალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	(66)	1
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	66	(1)
ევროს გამყარება 20%-ით	(16,169)	(14,091)
ევროს გაუფასურება 20%-ით	16,169	14,091

რისკის მოცულობა გამოთვლილია მხოლოდ ფულადი ნაშთებისთვის, რომლებიც გამოხატულია ჯგუფის შესაბამისი სამეურნეო ერთეულის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში.

(დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ხელმძღვანელობა აკვირდება ყოველთვიურ პროგნოზებს ჯგუფის ფულად ნაკადებთან დაკავშირებით.

ჯგუფის მიზანია შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსური რესურსების ბაზა, რომელიც ძირითადად შედგება ნასესხები სახსრებისგან. ჯგუფის ლიკვიდური პორტფელი შედგება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან (მე-14 შენიშვნა). ხელმძღვანელობის შეფასებით, ფულადი სახსრებისა და საბანკო ანაზღაურების ლიკვიდური პორტფელი შეიძლება რეალიზდეს ნაღდი ფულით ერთ დღეში, რათა დაკმაყოფილდეს ლიკვიდურობის ნებისმიერი გაუთვალისწინებელი საჭიროება.

ქვედა ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები 2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლებიც გაანალიზებულია დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის მიხედვით. ვადების ცხრილში ნაჩვენებია თანხები წარმოადგენს ფულადი სახსრების სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ნაკადებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოდენობებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მითითებული თანხები ემყარება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მონაცემებს. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

27. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

(დ) ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები	–	–	76,621	–	76,621
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (მე-18 შენიშვნა)	15,111	4,929	–	–	20,040
ფინანსურ გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულება	2,201,918	–	–	–	2,201,918
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხისა და პროცენტის სამომავლო გადახდების ჩათვლით	2,217,029	4,929	76,621	–	2,298,579

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები	–	–	30,422	34,912	65,334
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (მე-18 შენიშვნა)	9,313	4,370	–	–	13,683
ფინანსურ გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულება	2,528,247	–	–	–	2,528,247
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხისა და პროცენტის სამომავლო გადახდების ჩათვლით	2,537,560	4,370	30,422	34,912	2,607,264

ფინანსური გარანტიის ვალდებულება მიკუთვნებულია უადრესი პერიოდისთვის და წარმოდგენილია იმ თამასუქების მთლიანი თანხით (საანგარიშგებო თარიღამდე დარიცხული პროცენტის ჩათვლით), რომლებსაც ეხება გარანტია. ჯგუფი არ მოელის გარანტირებული თამასუქების დაფარვის ვადის მოსვლამდე ფულადი სახსრების რამენაირ გადინებას (მე-16 შენიშვნა).

(ე) კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზანია საკმარისი კაპიტალის შენარჩუნება, რათა დამაკმაყოფილებლად წარმართოს თავისი ოპერაციები. ჯგუფს არ უხდება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნების დაკმაყოფილება.

28. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეების მიხედვით: (i) 1-ლი დონე - იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე, (ii) მე-2 დონე - ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა, და (iii) მე-3 დონე - ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომლებიც არ ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ე.ი. არადაკვირვებადი ამოსავალი მონაცემები). ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით შეფასებისას ხელმძღვანელობა იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასება ეყრდნობა დაკვირვებად ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც მნიშვნელოვან კორექტირებებს საჭიროებენ, აღნიშნული შეფასება მე-3 დონეს განეკუთვნება. შეფასების ამოსავალი მონაცემების მნიშვნელობა ფასდება მთლიანად სამართლიანი ღირებულებით შეფასებასთან მიმართებით.

28. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

(ა) აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, თუმცა მათი სამართლიანი ღირებულება მოცემულია განმარტებით შენიშვნებში

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შესაბამისი დონის მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულება და საბალანსო ღირებულება იმ აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით:

	დონე	31 დეკემბერი, 2021 წ.		31 დეკემბერი, 2020 წ.	
		საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები					
გაცემული სესხები (მე-11 შენიშვნა)	დონე 3	14,640	14,640	3,697	3,697
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (მე-12 შენიშვნა).	დონე 3	12,823	12,823	32,254	32,254
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (მე-14 შენიშვნა)	დონე 1	6,423	6,423	1,877	1,877
ფინანსური ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები (მე-17 შენიშვნა)	დონე 3	74,017	74,227	61,460	61,749
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (მე-18 შენიშვნა)	დონე 3	20,040	20,040	13,683	13,683
ფინანსურ გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულებები (მე-16 შენიშვნა)	დონე 3	1,082	1,082	1,822	1,822

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების და სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი საბალანსო ღირებულებისა, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო;
- ▶ ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სამომავლო ფულადი ნაკადების ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო განაკვეთებით დისკონტირებით.

29. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

შენიშვნები

2022 წლის თებერვალში მშობელმა კომპანიამ გამოუშვა 435 მილიონი აშშ დოლარის 8.5%-იანი გარანტირებული თამასუქები („თამასუქები“), როლებიც უნდა დაიფაროს 2027 წელს. თამასუქები განთავსებულია საჯარო სააქციო საზოგადოება „ირლანდიის საფონდო ბირჟაზე“ (ივაჭრება, როგორც „ევრონექსტი დუბლინი“), რომელსაც არეგულირებს ირლანდიის ცენტრალური ბანკი. თამასუქები უპირობოდ და შეუქცევადად არის გარანტირებული კომპანიის, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“, უშუალო მშობელი კომპანიის, სს „ეპ ჯორჯია მიწოდების“, „ენერგო-პრო ვარნა EAD“-ის, „ენერგო პრო თურქეთი ჰოლდინგი ეი.ეს.-ისა“ და „REŞADİYE HAMZALI ELEKTRİK ÜRETİM SAN“ -ის მიერ. VE TİC. A.Ş. (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები).

მშობელი კომპანია ამ შემოსავალს გამოიყენებს მშობელი კომპანიის ფინანსური დავალიანების სრულად დასაფარად თავისი 370,000,000 ევროს 4.00-პროცენტიანი გარანტირებული თამასუქების ფარგლებში, რომლებსაც ვადა მოუდის 2022 წელს. ამის შედეგად კომპანია აღარ იქნება 370 მილიონი ევროს ევროზობლივაციის გარანტორი 2022 წლის თებერვლის შემდეგ.

29. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

ომი უკრაინაში

უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. ვინაიდან ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, რთულია ჯგუფის საქმიანობაზე მისი გავლენის სარწმუნოდ შეფასება, ვინაიდან გაურკვეველია ეკონომიკაზე მისი გავლენის მასშტაბი. ჯგუფის ხელმძღვანელობა შექმნილ ვითარებაში ეკონომიკური სიტუაციის მონიტორინგს ახდენს. ჯგუფი უკრაინაში მიმდინარე ომს მიიჩნევს საბალანსო უწყისის შედგენის შემდგომ მომხდარ არამაკორექტირებელ მოვლენად.

სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგის“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 წლის 21 აპრილს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

რუსლან ხოროშვილი,
შპს „იუაის“ სახელით

2022 წლის 19 აგვისტო


ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

სს „ეპ ჯორჯია გენერაციის“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 წლის 28 მარტს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2022 წლის 19 აგვისტო

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

„ეპ ჯორჯია გენერაცია ჯგუფი“ („ჯგუფი“) საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისია („სემეკი“). კომისია სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისგან დამოუკიდებელი ორგანოა. საქართველოს კანონის „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ მიხედვით, საქართველოს ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზიების გაცემის რეგულირება დაეკისრა სემეკს. ასევე დაევა ლიცენზიანტების, იმპორტიორების, ექსპორტიორების, ბაზრის ოპერატორებისა და მიმწოდებლების საქმიანობის რეგულირება, ენერგობაზრების მონიტორინგის უფლების ჩათვლით. ამავე კანონის მიხედვით, ტარიფის და საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგიას ადგენს სემეკი. ამ მეთოდოლოგიის მიხედვით, სემეკი ტარიფებს ადგენს ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, განაწილების, მიწოდების, საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის, ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერატორის მომსახურების, სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების, გარანტირებული სიმძლავრის წყაროთი უზრუნველყოფისთვის.

„ეპ ჯორჯია გენერაცია ჯგუფში“ შემავალი კომპანიებია: სს ეპ ჯორჯია გენერაცია („კომპანია“) და შპს ჯიფაუერი („შვილობილი კომპანია“).

სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“-ს 2021 წლის 14 აპრილს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“.

2021 წლის 12 აპრილს სს „ეპ ჯორჯია გენერაციამ“ 30 მილიონი ლარის სანაცვლოდ სს „ენერგო-პრო ჯორჯიასგან“ შეისყიდა შპს ჯიფაურის 100%-იანი წილი.

საოპერაციო საქმიანობა

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა ელექტროენერგიის წარმოებაა. კომპანია ფლობს და ამუშავებს 15 საშუალო და მცირე ზომის ჰიდროელექტროსადგურს (ჰესი), 489.0 მგვტ საერთო სიმძლავრით, რაც ქვეყნის ჰესების დადგმული სიმძლავრის 15 პროცენტს შეადგენს. ჯგუფი ასევე ფლობს ერთ აირტურბინულ თბოელექტროსადგურს 110 მგვტ მთლიანი სიმძლავრით. № 1 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის ელექტროენერგიის წარმოების აქტივების შესახებ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:


ცხრილი № 1

ჰესი	ტიპი	ექსპლუატაცია ში მიღების თარიღი	დადგმული სიმძლავრე (მგვტ)	ტარიფი
ლაჯანური	რეზერვუარით	1960	113.7	რეგულირებადი
მეგრულა	რეზერვუარით	1956	80.0	რეგულირებადი
გუმათი 1	რეზერვუარით	1958	48.4	რეგულირებადი
გუმათი 2	წყლის მოდინება	1956	22.8	რეგულირებადი
რიონი	წყლის მოდინება	1933-34	54.0	რეგულირებადი
შაორი	რეზერვუარით	1955	40.3	რეგულირებადი / თავისუფალი ბაზარი 2021 წლის 1 იანვრიდან
ზაჰესი	რეზერვუარით	1927-38	38.6	თავისუფალი ბაზარი
ჩითახევი	წყლის მოდინება	1949-51	21.0	თავისუფალი ბაზარი
აწი	წყლის მოდინება	1937	18.4	თავისუფალი ბაზარი
ორთაჭალა	წყლის მოდინება	1954	18.0	თავისუფალი ბაზარი
საცხენისი	წყლის მოდინება	1952	14.0	თავისუფალი ბაზარი
სიონი	რეზერვუარით	1964	9.0	თავისუფალი ბაზარი
ჩხორწყე	წყლის მოდინება	1967	6.0	თავისუფალი ბაზარი
მარტყოფი	წყლის მოდინება	1952	3.9	თავისუფალი ბაზარი
კინკიშა	წყლის მოდინება	1954	0.9	თავისუფალი ბაზარი

ჰესი	ტიპი	ექსპლუატაცია ში მიღების თარიღი	დადგმული სიმძლავრე (მგვტ)	ტარიფი
ჯიფაუერი	თბოელექტრო-სადგური	2006	110.0	რეგულირებადი
სულ			599.0	

ზემოთ ჩამოთვლილი ჰესების ადგილმდებარეობები მოცემულია № 2 ცხრილში:

ცხრილი № 2




ელექტროენერგიის ბაზრის სტრუქტურა საქართველოში

ელექტროენერგიის წარმოება ენერგოსექტორში სამ სეგმენტად არის დაყოფილი: ჰიდროელექტროსადგურები (ჰესები), თბოელექტროსადგურები (თესები) და ქარის ელექტროსადგურები (ქესები). საქართველოს ჰიდროელექტროენერგიის წარმოების დიდი სიმძლავრე აქვს, შესაბამისად, წარმოების დიდი წილი მოდის ჰიდროელექტროსადგურებზე, ხოლო 25% – თბოელექტროსადგურებზე.


ელექტროენერგიის ბაზრის სტრუქტურა საქართველოში (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილია მონაცემები დადგმული სიმძლავრის და ელექტროენერგიის წარმოების შესახებ:

ცხრილი № 3




ცხრილი № 4



თბოელექტროსადგურების ბაზრის სტრუქტურა შედგება ექვსი თბოელექტროსადგურისგან, რომელთაგან ერთ-ერთი შპს „ჯიფაურია“ (თბილისრესის ბლოკი ფლობს ორ თბოელექტროსადგურს). 2021 წელს თბოელექტროსადგურების მთლიანი წარმოება იყო 2,380 გვტსთ, საიდანაც 37.5 გვტსთ აწარმოა ჯიფაურმა, რაც თბოელექტროსადგურების მთლიანი გენერაციის 2%-ია. სტატისტიკის მიხედვით, 2021 წელს ჰიდროელექტროსადგურების მთლიანი წარმოების 17% კომპანიაზე მოდიოდა.

ცხრილი № 5




საქართველოს ელექტროენერგიის ბაზრის მოდელი, სადაც სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“ საქმიანობს, შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს: 1. პირდაპირი ხელშეკრულებების ბაზარი, სადაც ვალდებულებები სრულდება ყოველთვიური დაფარვებით 2. დაბალანსებული ბაზარი, რომელიც ბაზრის მონაწილეებს საშუალებას აძლევს, იყიდონ/გაყიდონ

ელექტროენერგიის ბაზრის სტრუქტურა საქართველოში (გაგრძელება)

ჰესების, თესებისა და ქესების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის გადაცემას და განაწილებას ახორციელებენ გადამცემი და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორები. 2021 წლის 1 ივლისამდე, ელექტროენერგიის საცალო ბაზარზე ელექტროენერგიის გაყიდვას ახორციელებდნენ განაწილების ლიცენზიატები სემკვის მიერ დადგენილი ტარიფებით. 2021 წლის 1 ივლისის შემდგომ მოხდა მიწოდებისა და განაწილების ფუნქციების გაყოფა (განცალკევება), რის შედეგადაც ჩამოყალიბდნენ ახალი ბაზრის მოთამაშეები, ელექტროენერგიის მიმწოდებლები. ჯგუფი ბაზარზე ფუნქციონირებს, როგორც ელექტროენერგიის მწარმოებელი (სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“) და თბოელექტროსადგური (შპს „ჯიფაუერი“). ელექტროენერგიის ბაზრის სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ, № 6 ცხრილში:

ცხრილი № 6



მიმდინარე საკანონმდებლო ჩარჩოთი, საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიის ძირითადი ნაწილი ორმხრივი ხელშეკრულებებით იყიდება, რომლებიც შეიძლება იყოს მოკლევადიანი (1-თვიანი) ან გრძელვადიანი (5-წლიანი). ხელშეკრულებები ფორმდება ელექტროენერგიის მიმწოდებელს, ტრეიდერს ან პირდაპირ მომხმარებლებსა და წარმოების ლიცენზიანტებს შორის.

სხვაობას წარმოებული ელექტროენერგიისა და პირდაპირი მომხმარებლების მიერ შესყიდული ელექტროენერგიის მოცულობებს შორის აბალანსებს ესკო, რომელიც ყიდის და ყიდულობს საბალანსო ელექტროენერგიას.

2019 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ახალი „კანონი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ და „კანონი განახლებადი ენერგიის წყაროების შესახებ“ და საფუძველი ჩაუყარა ენერგოსექტორის რეფორმას ენერგოსაზოგადოების საერთაშორისო ხელშეკრულებისა და ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობის

მოთხოვნების შესაბამისად. საქართველოს მთავრობის მიერ ქვეყნის ელექტროენერგიის სექტორის მიმდინარე რეფორმის ფარგლებში 2020 წლის 16 აპრილს მიღებული ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის მიხედვით, ელექტროენერგიის გარკვეულ მწარმოებლებს დაეკისრათ საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულება. ელექტროენერგიის ყველა მწარმოებელი 120 მგვტ-მდე დადგმული სიმძლავრით ეტაპობრივად უნდა

ელექტროენერგიის ბაზრის სტრუქტურა საქართველოში (გაგრძელება)

გათავისუფლდეს საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულებისგან: 2021 წლის 1 იანვრიდან 50 მგვტ-მდე დადგმული სიმძლავრის მქონე მწარმოებლები, 2022 წლის 1 მაისიდან 65 მგვტ-მდე დადგმული სიმძლავრის მქონე მწარმოებლები, 2024 წლის 1 მაისიდან 75 მგვტ-მდე დადგმული სიმძლავრის მქონე მწარმოებლები, 2026 წლის 1 მაისიდან 90 მგვტ-მდე დადგმული სიმძლავრის მქონე მწარმოებლები და 2027 წლის 1 იანვრიდან 120 მგვტ-მდე დადგმული სიმძლავრის მქონე მწარმოებლები. ამის შედეგად შაორჰესი გათავისუფლდა საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულებისგან 2021 წლის 1 იანვრიდან და დაიწყო თავისუფალ ბაზარზე მოქმედი ფასებით ვაჭრობა. დღით ადრე და დამაბალანსებელი ბაზრები, რომლებიც უნდა გაიხსნას 2022 წლის 1 სექტემბრიდან, ამჟამად ტესტირების ეტაპზეა. საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულების მქონე ელექტროსადგურები ვალდებული იქნებიან ელექტროენერგია დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე გაყიდონ საბაზრო ფასით. სხვაობა საბაზრო ფასსა და სემეკის მიერ დამტკიცებულ ტარიფს შორის ანაზღაურდება ესკოსთვის/ესკოს მიერ.

საჯარო მომსახურების ვალდებულების ქვეშ მომუშავე ჰესები ექვემდებარებიან სატარიფო რეგულირებას კომისიის მიერ ელექტროენერგეტიკის სექტორში მოქმედი სატარიფო რეგულირებას. ელექტროენერგიის ტარიფების გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონი და ამავე კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, კომისიის მიერ შემუშავებული და ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სატარიფო მეთოდოლოგიები. ელექტროენერგიის წარმოების ტარიფების მეთოდოლოგია ეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული „წამახალისებელი“ (ზღვრული შემოსავლების რეგულირება) და „დანახარჯები პლუს“ რეგულირების პრინციპებს. სემეკი ამტკიცებს თითოეული რეგულირებადი ჰესისთვის რეგულირებადი ხარჯების ბაზას („RCB“), რომელიც ადგენს ნებადართული შემოსავლის დონეს, რომელიც შეიძლება მიიღოს ელექტროსადგურმა. სემეკის მიერ გამოიყენება რამდენიმე კომპონენტი თითოეული ჰესისთვის მოქმედი ტარიფების გამოსათვლელად, სადაც ძირითადი ცვლადი ფაქტორებია რეგულირებული აქტივების ბაზა („RAB“) და WACC. RAB-ის გაზრდით, ინვესტიციებისა და მოდერნიზაციის ხარჯზე, კომპანიას შეუძლია ისარგებლოს უფრო მაღალი რეგულირებადი ტარიფებით. მიმდინარე რეგულირების პერიოდი მოიცავს 2021-2023 წლებს, რომლის მოქმედი WACC არის 15.39%.

კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანიამ 2020 წელს გააგრძელა შემდეგი პროექტები, რომელთა ნაწილი 2021 წელს დაიხურება:

- ▶ ორთაჭალჰესი – № 2 ობიექტის რეაბილიტაცია; განახლდება 2022 წელს და დასრულდება 2023 წელს
- ▶ ლაჯანურჰესი – №3 ობიექტის ტურბინის, სიჩქარის რეგულირების, გენერატორის აგზნების, კონტროლის სისტემების შეკეთება, გენერატორის კაპიტალური რემონტი. განახლდა 2021 წელს და დასრულდება 2022 წლის დეკემბერში.
- ▶ ჯიფაუერი გეგმავს 1.5 მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელებას აირტურბინის კაპიტალურ შეკეთებაში, რათა უზრუნველყოს გარანტირებული სიმძლავრის წყაროს სტაბილური მიწოდება 335 დღის განმავლობაში.

რეაბილიტაციის ფარგლებში განხორციელდება:

- ▶ ჰიდრო გენერაციის ობიექტის და ტურბინის კვანძის რეკონსტრუქცია და შეკეთება;
- ▶ ახალი საპოხი სისტემების დამონტაჟება;
- ▶ ახალი გამაგრებული სისტემების დამონტაჟება;
- ▶ სიჩქარის ახალი მარეგულირებლის დამონტაჟება;
- ▶ ზედამხედველობის, კონტროლის და მონაცემთა მიღების სისტემის დამონტაჟება;
- ▶ რელეური დაცვის თანამედროვე ციფრული სისტემის დამონტაჟება;
- ▶ ძირითადი და მეორადი ელექტროწრედების აღდგენა.

კვლევა და განვითარება


2021-2020 წლებში კვლევისა და განვითარების პროექტები არ განხორციელებულა.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

არაფინანსური მაჩვენებლები


ჯგუფის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის საშუალო მოცულობა ბოლო ორი წლის განმავლობაში შეადგენდა 1,605 გიგავატს საათში. სტატისტიკა წარმოდგენილია № 7 ცხრილში:

ცხრილი № 7



ჰიდროლოგიური მდგომარეობა ელექტროენერგიის წარმოების შემცირებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც პირდაპირ უკავშირდება ბუნებრივი წყლის ნაკადის კლებას. როგორც № 8 ცხრილი გვიჩვენებს, წყლის დონე 2021 წელს უფრო მაღალია, ვიდრე 2020 წელს.

ცხრილი № 8



ფინანსური მაჩვენებლები


ჯგუფის ხელმძღვანელობის აზრით EBITDA-ს (შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე) მარჟა და წმინდა მოგების მარჟა კომპანიის ფინანსური შედეგების შესაფასებლად რელევანტური მაჩვენებელია.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, EBITDA-ს მარჟა და წმინდა მოგების მარჟა წინა წელთან შედარებით გაიზარდა (Table №8) გაზრდილი ტარიფებისა და ბაზრის ლიბერალიზაციის შედეგად. 2020 წლის 17 დეკემბერს სემეკმა რეგულირებული ჰესებისთვის დააწესა წარმოების ახალი ტარიფი. გაზრდილი ტარიფები ძალაში შევიდა 2021 წლის 1 იანვარს და იმოქმედებს 2024 წლის 1 იანვრამდე. გამონაკლისია რიონჰესი, რომელიც 2022 წლის 1 მაისიდან დერეგულირებული გახდება. ახალი საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, შაორჰესი დერეგულირებული 2021 წლის 1 იანვრიდან გახდა. როგორც წესი, დერეგულირებული ჰესების ტარიფები განისაზღვრება თავისუფალ ბაზარზე მიწოდება-მოთხოვნის შესაბამისად და რეგულირებულ ტარიფებზე უფრო მაღალია. შესაბამისად, ეს დადებითად აისახება ჯგუფის ფინანსურ მაჩვენებლებზე.


EBITDA-ს მარჟით ფასდება, რა პროცენტული წილი უკავია ჯგუფის საოპერაციო მოგებას მთლიან შემოსავალში. იგი უდრის პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე შემოსავლის (EBITDA) შეფარდებას მთლიან შემოსავალთან.

წმინდა მოგების მარჟა – არის შემოსავლის ის პროცენტი, რომელიც რჩება ჯგუფს მთლიანი შემოსავლიდან ყველა საოპერაციო ხარჯის, პროცენტის, გადასახადის, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯის გამოქვითვის შემდეგ.

ცხრილი № 9



ცხრილი № 10




კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

შპს ჯიფაური ელექტროენერგიის წარმოებისთვის ბუნებრივ გაზს ყიდულობს. შესყიდული გაზის მოცულობის წლიური დინამიკა გვიჩვენებს, რომ საქმიანობა სეზონურია და წარმოებული ელექტროენერგიის მოცულობა იზრდება ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად.

ცხრილი № 11



დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე

შემოსავალი გამოითვლება სემეკის მიერ დაწესებული რეგულირებადი ტარიფებისა და ხელშეკრულებით შეთანხმებული ტარიფების გამრავლებით გაყიდული ელექტროენერგიის მოცულობაზე.

2021 წლის 31 დეკემბრისთვის გაყიდული ელექტროენერგია შეადგენდა 1,655 გიგავატს, რაც გამრავლდა რეგულირებულ და არარეგულირებულ ტარიფებზე. წლის შემოსავალმა 105,255 ათასი ლარი შეადგინა.

ცხრილი № 12

პესები	გაყიდული ელექტროენერგია (გგვტ/სთ)	შემოსავალი '000 (ლარი)
კინკიშაპესი	1.8	275
აწპესი	83.6	12,005
მარტყოფპესი	1.2	175
ზაპესი	142.7	19,839
ორთაჭალპესი	77.0	10,606
ჩითახევპესი	97.3	13,516
ჩხორპესი	22.0	3,068
საცხენისი პესი	9.3	1,258
სიონპესი	10.7	1,200
რიონპესი	306.6	4,403
შაორპესი	80.4	11,901
გუმათპესი	317.7	7,923
ძევრულა პესი	87.3	4,064
ლაჯანურპესი	417.5	11,557
ჯიფაური	25.0	3,463
სულ	1,655	105,255

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე (გაგრძელება)

ტარიფების დადგენა და რეგულირება სემეკის მთავარი ფუნქციაა. წარმოებული ელექტროენერგიიდან შემოსავალი დამოკიდებულია გაყიდული ელექტროენერგიის მოცულობაზე. გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი მიიღება გარანტირებული სიმძლავრის მზადყოფნის რეჟიმში გატარებული დღეების რაოდენობის გამრავლებით დადგენილ დღიურ ტარიფზე. გარანტირებული სიმძლავრის გასაყიდი დღიური ტარიფი 2021 წელს იყო 40,585 ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ, კანონის თანახმად, შპს ჯიფაუერი წლის განმავლობაში 335 დღეს ატარებს გარანტირებული სიმძლავრის მზადყოფნის რეჟიმში, ხოლო დანარჩენი დრო ეთმოზა სარემონტო სამუშაოებს.

ცხრილი № 13

წარმოებული ელექტროენერგიის რეალიზაცია (2021 წ.)				გარანტირებული სიმძლავრე (2021 წ.)		
თვე	წარმოებული ელექტრო- ენერგია (კვტსთ)	ტარიფი (თეთრი/კვტსთ)	შემოსავალი (ლარი)	რაოდენობა (დღე)	ტარიფი (ლარი/დღე)	შემოსავალი (ლარი)
იანვარი	-	-	-	-	-	-
თებერვალი	-	-	-	-	-	-
მარტი	-	-	-	-	-	-
აპრილი	759,567	15.687	119,153	19	40,585	771,115
მაისი	246,620	16.601	40,941	19	40,585	771,115
ივნისი	492,360	14.106	69,452	30	40,585	1,217,550
ივლისი	848,925	14.785	125,514	31	40,585	1,258,135
აგვისტო	7,494,740	14.219	1,065,677	31	40,585	1,258,135
სექტემბერი	4,541,460	13.751	624,496	30	40,585	1,217,550
ოქტომბერი	1,341,340	13.802	185,132	31	40,585	1,258,135
ნოემბერი	4,187,260	13.423	562,056	30	40,585	1,217,550
დეკემბერი	5,076,060	13.286	674,405	28	40,585	1,136,380
სულ	24,988,332		3,466,827	249		10,105,665

2021 წელს განხორციელებული პროექტები

2021 წელს კომპანიამ შემდეგი პროექტები დაასრულა:

- ▶ ზაჰესი ჰიდროაგრეგატი №6
- ▶ გუმათი ჰესის კასკადის ჰიდროაგრეგატი №7

პროექტის ფარგლებში შესრულდა შემდეგი დავალებები:

- ▶ ჰიდროაგრეგატის სრული რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია,
- ▶ ტურბინის და გენერატორის ყველა კვანძის აღდგენა-რეკონსტრუქცია.
- ▶ ახალი გენერატორის სტატორი
- ▶ დამონტაჟდა ახალი დამხმარე დანადგარები როგორცაა (სიხშირის და ძაბვის ავტომატური რეგულიატორი; შეზეთვის და გაციების სისტემა; ციფრული რელეური დაცვები; მართვისა და მონიტორინგის სისტემა (SCADA); ახალი პირველადი და მეორადი ელ. წრედები)

დამატებითი ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

მდგრადი განვითარების პოლიტიკა

კომპანიის დედა კომპანიას ENERGO-PRO A.S.-ს და ყველა მის შვილობილ კომპანიას შემოაქვს „მდგრადობის პოლიტიკა“. ENERGO-PRO A.S.-ს ჯგუფი მოწოდებულია მდგრადი განვითარებისა და მისი ინვესტიციების გავლენის სფეროებში მცხოვრები საზოგადოების კეთილდღეობისა და დაცვისკენ. კომპანია აღიარებს, რომ ის პოლიტიკა და პრაქტიკა, რომელსაც დღეს ვიღებთ, აყალიბებს არა მხოლოდ ჩვენს ცხოვრებას, არამედ მომავალ თაობებს. ამიტომ, მიაჩნია, რომ აუცილებელია მდგრადობის საკითხების ინტეგრირება მის ყოველდღიურ ოპერაციებში. ENERGO-PRO A.S.-ს მიერ დამტკიცებული პოლიტიკების მიზანია აღწეროს კომპანიის მდგრადობის ვალდებულებები. იგი აღწერს ლიდერობას, გარემოს და ბიომრავალფეროვნებას, თემებს, მმართველობას და ადამიანური რესურსების ვალდებულებებს.

გარემოს დაცვა

ჯგუფი კარგად აცნობიერებს თავის სოციალურ და გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას. ჯგუფს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ხელი შეუწყოს არსებული განახლებადი ბუნებრივი რესურსების სამართლიან მოხმარებას და „სუფთა“ ენერგიის წარმოებას, რაც ზიანს არ მიაყენებს გარემოს. განხორციელებული პროექტები სრულად აკმაყოფილებს გარემოსდაცვით მოთხოვნებს. ფლორისა და ფაუნის ხელშეწყობის და დაცვის მიზნით, ჯგუფის მიერ შემუშავებული პროექტები ითვალისწინებს ეკოსისტემისა და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვას და შენარჩუნებას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს „სუფთა“ და უსაფრთხო ენერგიის წარმოებას.

2021 წლის განმავლობაში ჯგუფმა განახორციელა რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტი, რომელიც გარემოს დაცვის გაუმჯობესებას ემსახურება:

- ▶ 14 ჰესის და 1 თესის გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების შესრულება. საჭირო დოკუმენტაციის მომზადება.
- ▶ გარემოსდაცვითი რეგულაციების შესრულებაზე მუშაობა ბუნების დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.
- ▶ „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, წყლის გამოყენების სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა სამინისტროში;
- ▶ გასული წლის კომპანიის ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგების მომზადება და სამინისტროში წარდგენა.
- ▶ წიაღით სარგებლობის სტატისტიკური ფორმების მომზადება და წარდგენა სააგენტოში;
- ▶ წლის განმავლობაში ჰესებზე გარემოს დაცვის კუთხით თვითმონიტორინგის წარმოება.
- ▶ გეოლოგიური მონიტორინგის ჩატარება და (ლაჯანურიჰესის სიონჰესის და აწჰესის) გეოლოგიური ანგარიშის მომზადება.
- ▶ სიონჰესის გარემოსდაცვითი ზედამხედველობის მიერ შემოწმებისას გარემოსდაცვითი მოთხოვნების და სასამართლო პროცესისათვის დოკუმენტაციის მომზადება.
- ▶ სასამართლო პროცესებში მონაწილეობის მიღება სიონის ჰესის საკითხთან დაკავშირებით.
- ▶ ლაჯანური ჰესის გარემოსდაცვითი ზედამხედველობის მიერ შემოწმებისას გარემოსდაცვითი მოთხოვნების და სასამართლო პროცესისათვის დოკუმენტაციის მომზადება.
- ▶ აწჰესის გარემოსდაცვითი ზედამხედველობის მიერ შემოწმებისას გარემოსდაცვითი მოთხოვნების და სასამართლო პროცესისათვის დოკუმენტაციის მომზადება.
- ▶ სასამართლო პროცესებში მონაწილეობის მიღება აწჰესის, სიონჰესის ლაჯანური ჰესის საკითხთან დაკავშირებით.
- ▶ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების დოკუმენტაციის მომზადება და მათი განახლება საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში.
- ▶ ჯიფაურის გარემოსდაცვითი ზედამხედველობის მიერ დაგეგმილი ინსპექტირებისათვის მომზადება.
- ▶ ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის ახალი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების აღება და ახალი გარემოსდაცვითი პირობების შესრულების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში საჭირო დოკუმენტაციის მომზადება.
- ▶ ლაჯანურიჰესის ახალი სკრინინგის გადაწყვეტილების აღება.
- ▶ ნარჩენების მართვა - აწჰესის ტერიტორიიდან სახიფათო ნარჩენების გატანა.
- ▶ სხვადასხვა სახის კორენსპონდენციის წარმოება რომელიც ეხებოდა გარემოს დაცვის საკითხებს.
- ▶ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტებთან კომპანიის კუთვნილი ჰესებისათვის სხვადასხვა ეკოლოგიური საკითხებზე შეხვედრების განხორციელება.

დამატებითი ინფორმაცია ჯგუფის შესახებ (გაგრძელება)

- ▶ განვითარების დეპარტამენტისათვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაციების მომზადებაში მონაწილეობის მიღება, შეხვედრებში მონაწილეობა, კონტრაქტორებთან შეხვედრების ჩათვლით.
- ▶ გუმათის, რიონის, ძეგრულას, ლაჯანურის, შაორის, სიონის, ჩითახევი, ზაჰესის და საცხენისი ჰესებიდან სახიფათო თხევადი და მყარი ნარჩენების გატანა.
- ▶ ადსორბენტების შეძენა და ჰესებზე განთავსება გარემოსდაცვითი პირობების თანახმად.
- ▶ ჰერბიციდების შეძენა და ჰესის ტერიტორიების დამუშავება.
- ▶ ჰიდროელექტროსადგურების ზეთების დაღვრის ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების გეგმის შეთანხმება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.
- ▶ რიონი ჰესის გარემოსდაცვითი ზედამხედველობის მიერ შემოწმებისას გარემოსდაცვითი მოთხოვნების და სასამართლო პროცესისათვის დოკუმენტაციის მომზადება.
- ▶ ყოველკვირეულ ონლაინ შეხვედრებში მონაწილეობის მიღება.
- ▶ კავკასიის ზუნების დაცვის ფონდთან (WWF) საქართველოში და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად ზუთხისებრთა კონსერვაციის საკითხებთან დაკავშირებულ დაინტერესებულ მხარეთა პლატფორმის შეხვედრებში მონაწილეობის მიღება, როგორც დაინტერესებულ მხარეთა პლატფორმის წევრი.

სოციალური აქტივობები

ჯგუფის პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი საყრდენი მისი თანამშრომლებია. ამიტომ პრიორიტეტი ენიჭება ადამიანური რესურსების ჯეროვან მართვას და საწარმოში საკადრო პოლიტიკის ეფექტურად განხორციელებას. დღესდღეობით ჯგუფში დასაქმებულია 483 ადამიანი, აქედან 462 კომპანიაში, 21 კი შვილობილ კომპანიაში. თანამშრომელთა მოტივირება, მათი ტრენინგი-განვითარება, სათანადო პირობების შექმნა, დისციპლინისა და სამუშაოსადმი თავდადების შემუშავება განმსაზღვრელი და აუცილებელი ფაქტორია იმისათვის, რომ საწარმომ დასახულ მიზნებს მიაღწიოს. ჯგუფი აქტიურად მონაწილეობს სოციალურ ცხოვრებაში და ახორციელებს შემდეგ სოციალურ პროექტებს:

- ▶ **ენერგოექტორის პოპულარიზაცია ახალგაზრდებს შორის** – სამიზნე ჯგუფებია მოსწავლეები და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები. პროექტის მიზანია მათი დაინტერესება ამ სფეროთი თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების მეშვეობით და ასევე თბოელექტროსადგურების მონახულებითა და პრეზენტაციების წარმოდგენით.
- ▶ **თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებელი შიდა და გარე ტრენინგები** – თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის კომპანიას შექმნილი აქვს სპეციალური სატრენინგო ბაზები, სადაც ტარდება თეორიული და პრაქტიკული სწავლება შრომის უსაფრთხოების შესახებ. ასევე ტარდება სხვა შიდა და გარე ტრენინგი, რომლებიც თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას ემსახურება.
- ▶ **თანამშრომელთა მოტივირება** – ჯგუფი თითოეულ თანამშრომელს უფინანსებს ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და უბედური შემთხვევებისგან დაზღვევას. თანამშრომელთა წახალისება მუდმივად ხდება ფულადი და არაფულადი კომპენსაციით.
- ▶ **სამუშაო გარემო** – ჯგუფის ხელმძღვანელობა ზრუნავს თანამშრომლებისთვის ოპტიმალური სამუშაო გარემოს შექმნასა და მათ პროფესიულ განვითარებაზე. ითვალისწინებს რა ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე მეთოდებსა და სტანდარტებს, ჯგუფი საკადრო პოლიტიკას ახორციელებს შრომითი რეგულაციების მიხედვით, რომლებითაც განისაზღვრება შრომითი ურთიერთობის დარეგულირება, კადრების შერჩევა, თანამშრომელთა განვითარება, შრომის ანაზღაურება და წახალისება, თანამშრომელთა დაცვა-უსაფრთხოება და ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.
- ▶ **სამუშაოს მიღმა** – ჯგუფი დროდადრო აწყობს სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებას და შეხვედრას სამუშაო გარემოს გასაუმჯობესებლად და კორპორატიული კულტურის განსავითარებლად. ასეთი მიდგომით ჩვენ ვწერგავთ გუნდურ სულისკვეთებას და ვქმნით გარემოს, სადაც თანამშრომლები ერთმანეთს ეხმარებიან და ნდობას უცხადებენ.

დამატებითი ინფორმაცია ჯგუფის შესახებ (გაგრძელება)

- **კარიერული განვითარება** – ჯგუფი ახალი თანამშრომლების ასაყვანად ეყრდნობა თანამედროვე პროცედურებს, რაც მოიცავს კანდიდატების ძებნას, შეფასებას, შერჩევას და ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნას. ვაკანტური თანამდებობებისთვის ჯერ შიდა კანდიდატები განიხილებიან. შიდა კანდიდატების არარსებობის შემთხვევაში, ახალი თანამშრომელი გარე კანდიდატებიდან შეირჩევა. კანდიდატის საბოლოო შეფასება ხდება ვაკანსიის მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომლებიც შეეხება განათლებას, სამუშაო გამოცდილებას და პროფესიულ ცოდნას, ბიზნესუნარებს და თვისებებს, ზოგად უნარებს და ტექნიკურ უნარებს. ჯგუფის ხელმძღვანელობა გამოცდილი პროფესიონალების დახმარებით ახორციელებს ახალბედა თანამშრომლებს დატრენინგებას და განვითარებას. ჯგუფის საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდა თაობის ცოდნის გაღრმავება, რასაც ჯგუფი ახორციელებს თავისივე – მაღალკვალიფიციური და გამოცდილი თანამშრომლების მხარდაჭერით.

ეს მიმართულებები ჯგუფის ბიზნესსტრატეგიისა და კულტურის განუყოფელი ნაწილია. ისინი დღემდე წარმატებით და ეფექტურად მუშაობს, რაც მომავალში მათი გაგრძელების და განვითარების საწინდარია.

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები

ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქციას ჯგუფში ეკისრება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვა. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო (მათ შორის სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი ამოცანებია რისკის ლიმიტების დადგენა და შემდგომ უზრუნველყოფა იმისა, რომ დაუფარავი დავალიანება დადგენილ ლიმიტებს არ სცდებოდეს. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციების მიზანია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და იურიდიული რისკების მინიმუმამდე დასაყვანად. დეტალური ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ წარმოდგენილია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების „ფინანსური რისკების მართვის“ შენიშვნებში.

ბიზნესის რისკის მართვა

ჯგუფის მთავარი საოპერაციო და იურიდიული რისკები უკავშირდება საქართველოს მარეგულირებელ გარემოს და ეკონომიკურ სიტუაციას. ჯგუფში შემავალი კომპანიები რეგულირებული საწარმოებია, შესაბამისად, მათ შემოსავალზე გავლენას ახდენს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ კანონსა და ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგიაში შესული ცვლილებები. რეგულირებად ტარიფებში შესული ნებისმიერი ცვლილება შეიძლება უარყოფითად აისახოს ჯგუფის საოპერაციო შედეგებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე. ჯგუფში შემავალ კომპანიებზე ვრცელდება ლიცენზირების ბევრი მოთხოვნა და მასზე შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ლიცენზიის დაკარგვამ ან სალიცენზიო მოთხოვნების შეუსრულებლობამ.

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, ჯგუფს აქვს რისკი იმისა, რომ მის ელექტროენერგიაზე მოთხოვნა შემცირდეს. ელექტროენერგიაზე მოთხოვნას, ძირითადად, განსაზღვრავს საქართველოში ეკონომიკური აქტივობის დონე. ეკონომიკის შეფერხება, როგორც წესი, იწვევს ელექტროენერგიის მოხმარების შემცირებას, ეს კი უარყოფითად მოქმედებს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. წარმოების ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგია საჭიროებს დაშვებებს ელექტროენერგიის წარმოების მოცულობასთან დაკავშირებით. თუ ფაქტობრივად წარმოებული მოცულობა დაშვებულზე ნაკლები იქნება, ეს უარყოფითად აისახება ჯგუფის ელექტროენერგიის წარმოებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე, რადგან დაყოვნდება კორექტირების ანაზღაურება გადაანაწილება. რადგან კომპანიამ კორექტირება შეიძლება მოითხოვოს სატარიფო წლის დასრულების შემდეგ, როდესაც RCB-ს წლიური გადახრა 10%-ზე მეტია.

ჯგუფის დერეგულირებული ჰესებიდან მიღებული შემოსავალზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ელექტროენერგიის ფასების მერყეობამ იმ ბაზრებზე, სადაც ის ყიდის გამომუშავებულ ელექტროენერგიას.

ჯგუფის ჰიდროელექტროენერგიის წარმოებაზე გავლენას ახდენს ჰიდროლოგიური პირობები, რომლებიც წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად მერყეობს და შეიძლება წლიდან წლამდეც იცვლებოდეს. წლის განმავლობაში წყლის ყველაზე მაღალი დონე ფიქსირდება მარტში, აპრილსა და მაისში თოვლის დნობის პერიოდში და ჰესებიც სწორედ ამ დროს აწარმოებენ ყველაზე მეტ ელექტროენერგიას.

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები (გაგრძელება)

ჯგუფს ეხება გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სხვადასხვა კანონი და რეგულაცია, რომლებიც ჯგუფის თანამშრომლების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზეც ვრცელდება. ჯგუფი ასევე ვალდებულია, სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოსგან მიიღოს გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ნებართვები თავისი საქმიანობისთვის.

ჰესების ექსპლუატაციის სირთულის გამო, ჯგუფს არ შეუძლია აღმოფხვრას დაუგეგმავი გათიშვის რისკი და არ შეუძლია დარწმუნებით განსაზღვროს ამ გათიშვის დრო ან გავლენა. კომპანიის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება, კატასტროფების აღდგენისა და კრიზისული მენეჯმენტის ზომებმა შეიძლება ეფექტურად არ დაიცვას კომპანია ამ მოვლენებისგან. ნებისმიერი ფიზიკური დაზიანება კომპანიის ობიექტებზე, შეიძლება იყოს ძვირადღირებული შეკეთება და მომსახურების ნებისმიერმა შეფერხებამ შეიძლება გამოიწვიოს ელექტროენერგიის გამომუშავების დაკარგვა და მომხმარებელთა უკმაყოფილება, რამაც შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის რეპუტაციაზე, ბიზნესზე, ოპერაციების შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

ენერგოსექტორში მიმდინარე მოვლენები, განსაკუთრებით, საკანონმდებლო ცვლილებები, მნიშვნელოვნად მოქმედებს ჯგუფში შემავალ კომპანიებზე. საქართველოს ენერგოსექტორში გრძელდება ფუნდამენტური ცვლილებები. ახალი კანონის მიხედვით კომპანიას უკვე დაეკისრა საჯარო მომსახურების ვალდებულება, თუმცა კვლავ დასამტკიცებელი რჩება „ელექტროენერგიის წარმოების სიმძლავრის შენარჩუნების მიზნით საჯარო მომსახურების ვალდებულების განხორციელების წესი“. ეს წესი დაარეგულირებს თბოელექტროსადგურების ბაზარზე მონაწილეობის წესსა და პირობებს, მის მიერ საჯარო მომსახურების ვალდებულების ფარგლებში შესასრულებელ აუცილებელ მოთხოვნებს, მზადყოფნის დადასტურებისა და გაწეული მომსახურების ანაზღაურების/ანგარიშსწორების წესს.

ამასთან ერთად, 2022 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდება, დღით ადრე, საბალანსო და დამხმარე მომსახურების ბაზრები, ხოლო 2022 წლის 1 დეკემბრიდან ამოქმედდება შიდადღიური ბაზარი. ჯერ კიდევ გაურკვეველია, თბოელექტროსადგურები მიიღებენ თუ არა მათში მონაწილეობას. ასევე 2022 წლის 1 სექტემბრიდან ფუნქციონირებას იწყებს საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზარი, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შესაძლოა წარმოიქმნეს ვალდებულება ნომინირებული ვაჭრობის მოცულობის და ფაქტიური წარმოების გადახრების არსებობის შემთხვევაში დაეკისროს უბალანსობაზე პასუხისმგებლობა, რაც დამატებით საჯარიმო სანქციებს ითვალისწინებს. ეს ყველაფერი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

ძირითადი მმართველობითი ფუნქციები უზრუნველყოფს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველყოფას, რათა ზემოაღნიშნული რისკფაქტორები მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი.

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 19 აგვისტოს.

მიხეილ ზოცვაძე
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

2022 წლის 19 აგვისტო
თბილისი, საქართველო

ქრისტინე წერეთელი
ფინანსური დირექტორი

2022 წლის 19 აგვისტო
თბილისი, საქართველო

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები (გაგრძელება)

ჯგუფს ეხება გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სხვადასხვა კანონი და რეგულაცია, რომლებიც ჯგუფის თანამშრომლების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზეც ვრცელდება. ჯგუფი ასევე ვალდებულია, სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოსგან მიიღოს გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ნებართვები თავისი საქმიანობისთვის.

ჰესების ექსპლუატაციის სირთულის გამო, ჯგუფს არ შეუძლია აღმოფხვრას დაუგეგმავი გათიშვის რისკი და არ შეუძლია დარწმუნებით განსაზღვროს ამ გათიშვის დრო ან გავლენა. კომპანიის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება, კატასტროფების აღდგენისა და კრიზისული მენეჯმენტის ზომებმა შეიძლება ეფექტურად არ დაიცვას კომპანია ამ მოვლენებისგან. ნებისმიერი ფიზიკური დაზიანება კომპანიის ობიექტებზე, შეიძლება იყოს ძვირადღირებული შეკეთება და მომსახურების ნებისმიერმა შეფერხებამ შეიძლება გამოიწვიოს ელექტროენერგიის გამომუშავების დაკარგვა და მომხმარებელთა უკმაყოფილება, რამაც შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის რეპუტაციაზე, ბიზნესზე, ოპერაციების შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

ენერგოსექტორში მიმდინარე მოვლენები, განსაკუთრებით, საკანონმდებლო ცვლილებები, მნიშვნელოვნად მოქმედებს ჯგუფში შემავალ კომპანიებზე. საქართველოს ენერგოსექტორში გრძელდება ფუნდამენტური ცვლილებები. ახალი კანონის მიხედვით კომპანიას უკვე დაეკისრა საჯარო მომსახურების ვალდებულება, თუმცა კვლავ დასამტკიცებელი რჩება „ელექტროენერგიის წარმოების სიმძლავრის შენარჩუნების მიზნით საჯარო მომსახურების ვალდებულების განხორციელების წესი“. ეს წესი დაარეგულირებს თბოელექტროსადგურების ბაზარზე მონაწილეობის წესსა და პირობებს, მის მიერ საჯარო მომსახურების ვალდებულების ფარგლებში შესასრულებელ აუცილებელ მოთხოვნებს, მზადყოფნის დადასტურებისა და გაწეული მომსახურების ანაზღაურების/ანგარიშსწორების წესს.

ამასთან ერთად, 2022 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდება, დღით ადრე, საბალანსო და დამხმარე მომსახურების ბაზრები, ხოლო 2022 წლის 1 დეკემბრიდან ამოქმედდება შიდადღიური ბაზარი. ჯერ კიდევ გაურკვეველია, თბოელექტროსადგურები მიიღებენ თუ არა მათში მონაწილეობას. ასევე 2022 წლის 1 სექტემბრიდან ფუნქციონირებას იწყებს საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზარი, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შესაძლოა წარმოიქმნეს ვალდებულება ნომინირებული ვაჭრობის მოცულობის და ფაქტიური წარმოების გადახრების არსებობის შემთხვევაში დაეკისროს უზალანსობაზე პასუხისმგებლობა, რაც დამატებით საჯარიმო სანქციებს ითვალისწინებს. ეს ყველაფერი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

ძირითადი მმართველობითი ფუნქციები უზრუნველყოფს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველყოფას, რათა ზემოაღნიშნული რისკფაქტორები მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი.

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 19 აგვისტოს.



მიხეილ ბოცვაძე
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

2022 წლის 19 აგვისტო
თბილისი, საქართველო



ქრისტინე წერეთელი
ფინანსური დირექტორი

2022 წლის 19 აგვისტო
თბილისი, საქართველო